645
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0321-1509



# საქართველოს ქალი

11
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში

ვარლამ გენგიურის ფოტო

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კაცო-ბრი-ობის გაზაფხული



პროგრესული კაცობრიობა პატივითა და ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავს.

სწორედ სამოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ერთ მძლავრ ნაკადად გააერთიანა რა პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათვის, გლეხთა ბრძოლა მიწისათვის, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და საერთო-სახალხო მოძრაობა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, დაამხო ბურჟუაზიული წყობილება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გახდა მსოფლიო ისტორიის გარდამტეხი მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა მსოფლიო განვითარების გენერალური მიმართულება და დასაბამი მისცა შეუქცევად პროცესს — კაპიტალიზმის შეცვლას ახალი, კომუნისტური ფორმაციით.

გზა ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. ეს იყო დიდი ისტორიული პერიოდი, როცა წელში უნდა გამართულიყო ჩამორჩენილი და გაჩანაგებული მეურნეობა, მილიონობით ადამიანისათვის უნდა მიგვეცა საჭმელ-სასმელი, სახლ-კარი, უფასო სამედიცინო დახმარება, გვესწავლებინა წერა-კითხვა. იმპერიალიზმის განუწყვეტელ პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ცხადია, დიდი გავლენა ჰქონდა მოვლენათა მიმდინარეობაზე, მაგრამ ჩვენი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაძლია რა ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება, ააშენა სოციალიზმი და შექმნა მსოფლიოში პირველი თავისუფალი, სოციალისტური სახელმწიფო, რომლის არსებობის ძირითად პრინციპად იქცა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მშვიდობა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

საბჭოთა ქვეყნისა და ხალხის მაგალითი შემდეგ გზის მანათებელ ჩირაღდნად იქცა სხვა ქვეყნების მშრომელებისათვის.

ახლა ჩვენი დროის პროგრესს სამართლიანად აიგივებენ სოციალიზმთან. „მსოფლიო სოციალიზმი, — ამბობს ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი, — ეს არის მძლავრი საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც ეყრდნობა დიდად განვითარებულ ეკონომიკას, სოლიდურ მეცნიერულ ბაზას, საიმედო სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. ეს არის კაცობრიობის მესამედზე მეტი, ათობით ქვეყანა და ხალხი, რომლებიც ადამიანისა და საზოგადოების ინტელექტუალურ და ზნეობრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივი გაფურჩქვნის გზას ადგანან. წარმოიშვა ახალი, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, სადაც არ არიან არც მჩაგვრელები და არც ჩაგრულნი, არც ექსპლოატატორები და არც ექსპლოატირებულნი, სადაც ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. მისი განმასხვავებელი ნიშანია კოლექტივიზმი და ამხანაგური თანადგომა, თავისუფლების იდეების გამარჯვება, საზოგადოების თითოეული წევრის უფლება-მოვალეობათა განუყრელი ერთიანობა, პიროვნების ღირსება, ნამდვილი ჰუმანიზმი“.

აი რას მისცა დასაბამი ოქტომბრის რევოლუციამ.

ვიდრე ამ წარმატებებს მივაღწევდით, საჭირო იყო მილიონობით ადამიანთა თავდადება. მუხლჩაუხრელი შრომა, კომუნისტური იდეებისათვის თავგანწირვა, ახლის, პრო-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




გრესულის დამკვიდრებისათვის შეუპოვარი ბრძოლა.

რაოდენ საამაყოა, რომ ყველა ამ ეტაპზე თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობდნენ ქალები, რომლებიც ღირსეულად ედგნენ მხარში მამებს, ქმრებსა თუ ძმებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ქალის სახელი და ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული როგორც რევოლუციის წინა პერიოდთან, ისე მთელ მის შემდგომ ისტორიულ ეტაპებთან; მაგრამ მაინც ჭეშმარიტი გარდატეხა ქალის ცხოვრებაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა. ის, ვინც გაეცნობა რევოლუციური ბრძოლების ისტორიას ან მის მონათხრობს მოისმენს, ვინც დიდი პროლეტარული რევოლუციის აკვანთან იდგა, უდავოდ დარწმუნდება, რომ მომავალი თაობების ბედნიერებას მამებთან ერთად დედებიც სჭედდნენ. ქალი — რევოლუციონერი ერთეული როდი იყო მაშინ უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში. რევოლუციის გამარჯვების დიდ საქმეში მათ არნახული წვლილი შეიტანეს.

როცა ძველი წყობის ნანგრევებზე ახალი ცხოვრება დაფუძნდა, ქალიც თავდაუზოგავად აგებდა სოციალიზმს. ჩვენ კარგად ვიცით ქართველი ქალების ღვაწლიც რევოლუციის შემდგომ პერიოდში. ისინი არ ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს — აშენებდნენ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, აშრობდნენ კოლხეთის საუკუნოვან ჭაობებს, სხვებთან ერთად გაჰყავდათ გზები და არხები. მათ მიერ შექმნილი დოვლათი, მათი ენერგია და შემართება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ქვაკუთხედად იქცა.

ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი ვერასოდეს დაივიწყებენ დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებს. ქართველმა ქალმა სამშობლოს დასაცავად, სხვა მილიონობით თავდადებულთა გვერდით, თავისი შვიდასი ათასამდე შვილი გაგზავნა, მათ შორის 16000 ქალი. აქედან მომავლის სამსხვერპლოზე თავი დადო სამასმა ათასმა რჩეულმა და ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცმა. ამ ფაქტში ნათლად წარმოჩინდა ქალის პატრიოტიზმი, დედობრივი პრინციპებისადმი ერთგულება, მისი შრომის, ჯაფისა და მიზნის ზოგადსაკაცობრიო ხასიათი.

განუზომელია ქალების როლი ქვეყნისათვის ომისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებისა და სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში. ისინი ომისშემდგომ წლებშიც ისე თავდაუზოგავად მუშაობდნენ, როგორც ომის დროს უკაცებოდ დარჩენილ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფაბრიკა-ქარხნებში.

ყველას კარგად ახსოვს მაშინ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ქალების შრომითი გმირობისა და მამაცობის აღიარებით გამოწვეული პირველი სიხარული. სწორედ აქედან დაიწყო ის „ვარსკვლავცვენა", ასობით ქალის მკერდზე რომ შემდგომ ოქროდ აკიაფდა. საქართველოში ახლა ოთხაზე მეტი სოციალისტური შრომის გმირი ქალია. განა ეს ასე პატარა რესპუბლიკისათვის ბევრი არ არის?!

ჩვენ ახლა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისეთ ეტაპზე ვცხოვრობთ, როცა ყოველი დღე აღსავსეა კომუნისტური პარტიის და მთავრობის ზრუნვით, უბრალო ადამიანებისადმი ყურადღებით. ასეთი ზრუნვისა და ყურადღების გამოვლინებაა ქალის როლის წინ წამოწევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს დროული და აუცილებელი ნაბიჯია, რადგან ჩვენი მოღვაწეობის ყოველ უბანზე ქალი დღეს ერთ-ერთი უმთავრესი ძალა და ფიგურაა.

უბრალო სტატისტიკასაც რომ თვალი გადაავლოთ, არ შეიძლება არ გაგახაროთ იმ ფაქტმა თუ რაოდენ შთამბეჭდავად და საპატიოდ გამოიყურება ჩვენი რესპუბლიკის ქალთა საქმენი და ცხოვრება სხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთა გვერდით. ასე მაგალითად, დღეს საქართველოში 207 მეცნიერებათა დოქტორი ქალია, ხოლო 123 — აკადემიკოსი, წევრ-კორესპონდენტი ან პროფესორი. ეს რსფსრ-სა და უკრაინის სსრ-ს შემდეგ რიცხობრივად ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია.

ასევე დიდი ნდობა აქვთ გამოცხადებული საქართველოს ქალებს მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ბოლო დროის მონაცემებით საქართველოში 34 სახალხო მოსამართლე ქალია, ხოლო სახალხო მსაჯულთა რიცხვი ექვსიათას ექვსასს, ანუ მთლიანად სახალხო მსაჯულთა 52 პროცენტს აღწევს.

მომავალი თაობის აღზრდა მუდამ იყო ქართველი ქალის — დედისა და ოჯახის ბურჯის სისხლხორცეული საქმე. ჭეშმარიტ დედას მუდამ ეჭირა თავისი დიდად საპატიო, მაგრამ მოკრძალებული ადგილი სახელმწიფოსა და ერის ცხოვრებაში. ერის სახელს, მის ზნეობას ყოველ დროსა და ეპოქაში განაპირობებდა ის, თუ რა დონეზე იყო დედათა შეგნება, რამდენად ზრუნავდნენ ისინი მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

ფრიად სასიხარულოა, რომ ეს შესანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ტრადიციები არა მარტო გრძელდება დღეს, არამედ თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ადის.

ქალი აღმზრდელი — მასწავლებელი, პედაგოგ-ორგანიზატორი საბჭოთა ხელისუფლების დროს წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს მომავლის ადამიანის სულიერი სამყაროსა და გონებრივი ჰორიზონტის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში.

1986-87 წლებში რესპუბლიკის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა 69,9 პროცენტი ქალია. ეს თვალსაჩინო მიღწევაა განათლების ფრონტზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ რიცხობრივ გამოხატულებაში იგი 59 ათასს აღემატება. ამავე დროს, ფრიად შთამბეჭდავია სხვა მონაცემებიც: რვაწლიანი სკოლების დირექტორებად მუშაობს ქალთა 15,5 პროცენტი, საშუალო სკოლების დირექტორებად — 23,1 პროცენტი, რვაწლიანი სკოლების დირექტორების მოადგილეებად — 43,2 პროცენტი, საშუალო სკოლისა — 52,6 პროცენტი.

აი, სწავლა-განათლების რა სადავეები უპყრიათ ხელთ საქართველოს ქალებს.

რამდენი ასეთი მიღწევისა და სიკეთის ჩამოთვლა შეიძლება!

ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — თავისუფლებისა და შემოქმედებითი შრომის, თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა მეგობრობის დამკვიდრების საფუძველზე.

ახლა ჩვენ უდიდესი ისტორიული გარდაქმნების ეპოქაში ვცხოვრობთ. მართალია, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ისე კულტურის დარგშიც, თვალსაჩინო და სოლიდური მიღწევები გვაქვს, მაგრამ არავისთვის დასამალი არ არის, რომ ჩვენს წინაშე დაგროვდა სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები, გაჩნდა ერთგვარი უძრაობისა და თვითდამშვიდების ატმოსფერო.

პარტია, რომელიც მოვალეა ხედავდეს ცხოვრებას მთელი მისი სისრულითა და სირთულით, ზრუნავდეს ხალხისა და ქვეყნის მომავალზე, აუცილებლად მიიჩნევს, რომ მოხდეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ძირეული შემობრუნება. დღის წესრიგში დადგა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, დაჩქარების, გარდაქმნის საკითხი.

კერძოდ, რა უნდა გვესმოდეს გარდაქმნის ცნებაში?

გარდაქმნა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, არის მოდუნების პროცესის მკვეთრი დაძლევა, დამუხრუჭების მექანიზმის დამსხვრევა, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, ეს არის მასების ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობა.

სოციალისტური თვითმმართველობის ყოველმხრივი განვითარება, თვითმოქმედების წახალისება, დისციპლინისა და წესრიგის



განმტკიცება, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება, ადამიანების ძნიშვნელობისა და ღირსების ამაღლებული პატივისცემა — აი, ამ გარდაქმნისაკენ მოგვიწოდებს მშობლიური კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა დღის წესრიგში ოჯახის განმტკიცების პრობლემა და ქალთა შრომისა და ყოფის ოპტიმალური პირობების შექმნა.

საქმე ის არის, რომ ოქტომბრის რევოლუციამ, და საერთო სოციალიზმმა, გაათავისუფლა ქალი ეკონომიკური და სოციალური ჩაგვრისაგან, შეუქმნა მას მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობანი — მიიღოს განათლება, იშრომოს და მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ არის ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობები, როცა მათ საშუალება ექნებათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში.

გარდაქმნის სტრატეგიის განხორციელება ერთი დღის საქმე არ არის, იგი ხანგრძლივ, დაუღალავ, მიზანშეწონილ შრომას და რუდუნებას ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენს თვალწინ უკვე ხდება ის დიდებული ძვრები, რომლებიც ჭეშმარიტ განახლებას და საზოგადოების არნახულ პროგრესს გვპირდება.

ყველაფერი ეს ხორციელდება იმ რევოლუციური გაქანებითა და პათოსით, რომელმაც ამ სამოცდაათი წლის წინათ მოამზადა და გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენს სახელოვან მამა-პაპათა დაწყებული საქმე.

დიდი ოქტომბრის მიზანი და იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს, რადგან ამ რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ის მარადიული გაზაფხული, რომელიც ჟამთა ცვლას არ ემორჩილება.

ნოდარ ჯაველიძე

## ლენინიზმი დროშად

ლენინი რომ არა...
ლენინიზმი არა... —
უფერული ყოფა,
უფერული ხანა!..
დღესაც ბნელეთს აპობს
ეპოქის ძალა,
იდეები ჩვენი
ვერვინ გადაძალა!..
მწყობრად! მწყობრად! მწყობრად!
მტრის წინაშე მწყრალად!..
ლენინიზმი — დროშად,
ლენინიზმი — ფარად!

## მოქალაქე

გტკიოდეს შენი — ავადმყოფი ხარ...
გტკიოდეს სხვისი — მოქალაქე!
თუ კი ამ რწმენის არა ყოფილხარ...
—ხარ უდღეური და მოღალატე!..
ღამეს ათენებს რწმენა კაცური,
სიკეთის ხნული — ჩვენი სადგური,
ამას გვიმოძღვრებს დედა-სამყარო,
და წინაპართა სული ლანდური...
ჭეშმარიტება — სულის საგზალი,
ჭეშმარიტება — ჩვენი მსაჯული!..
შეხეთ საფლავებს — ძმათა საფლავებს,
უცხო მეომრებს — სხვადასხვა მხარეს...
ტკიოდათ სხვისი, როგორც თავისი,
მიტომ მოკლეს და მიტომ აწამეს...
ღიმილის ბიჭად რომ შერჩნენ ხსოვნას,
გაუხუნარი დროშა აღმართეს!..
მარად ჭაბუკი სულის დიდებას
გვამცნობს ნაომარ მიწათა კვალი,
ცას შელეკილი ქანდაკებები,
ომის ფურცლები გაუხუნარი...
ჩვენი აწმყო და ჩვენი წარსული,
მშვიდობისაკენ სწრაფვა დიადი.
გტკიოდეს შენი — ავადმყოფი ხარ..
გტკიოდეს სხვისი — მოქალაქე!
თუ კი ამ რწმენის არა ყოფილხარ... —
ხარ უდღეური და მოღალატე!..

ლამარა ჯაჯელი

# ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ

## მრგვალი მაგიდა




ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს მიუძღვნა მრგვალი მაგიდა, სადაც მოიწვია ცხოვრების სახელოვანი გზაგავლილები, რევოლუციის, ბრძოლისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდობის წარმომადგენელი ქალები. იმდღევანდელ შეკრებაზე მოგონება იყო ჩვენი ქვეყნის წარსულისა, შეფასება აწმყოსი და განჭვრეტა მომავლისა; ცოცხლდებოდა რევოლუციური, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეების, შრომითი თავდადების წარსული და დღევანდელობის სურათები.

შეკრებაზე ვრცელი შესავალი სიტყვა წარმოთქვა **„საქართველოს ქალის" მთავარმა რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა.**

— დიდი ოქტომბრის 70- წლისთავი დიდი პოლიტიკური მოვლენაა მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ თარიღთან დაკავშირებით მოგიწვიეთ რევოლუციის, ბრძოლისა და შრომის ვეტერანები და ახალგაზრდობის პრესტიჟული წარმომადგენლები. მოგიწვიეთ იმ მიზნით, რომ მადლობა მოგვეხსენებინა იმ დიდი გულმხურვალებისა და ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ მიგიძღვით რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებაში, ქვეყნის დაცვასა და აღორძინებაში და გვეთხოვა, რომ გაიხსენოთ თქვენს მიერ განვლილ დიდ და საპატიო გზაზე ნახულისა და განცდილის მთავარი მომენტები.

თქვენ მოწმენი და მონაწილენი ბრძანდებით ყოველივე იმისა, რაც გაკეთდა ხალხის სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის, და ახლა, როდესაც დრომ მოითხოვა ჩვენი ცხოვრების ყოველი უბნის სასიკეთო გარდაქმნის დაჩქარება, თქვენი დახმარება — ფხიზელი თვალი და მხურვალე გული ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს.

დიდი იყო შეკრების მონაწილეთა გულმხურვალება. მათს საუბრებს მოკლედ გავაცნობთ მკითხველებს.

***ᲘᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ* — სკკპ წევრი 1921 წლიდან, დოცენტი, ქიმიკოსი.**

— გავიზარდე რევოლუციონერთა ოჯახში. მშობლები პედაგოგები იყვნენ. ჩვენს ბინაში არალეგალური კრებები ხშირად იმართებოდა, ინახებოდა და ვრცელდებოდა აკრძალული ლიტერატურა, სახლი დევნილ რევოლუციონერთა თავშესაფარი გახლდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლები შვილებს რევოლუციური სულისკვეთებით გვზრდიდნენ, ჩემი და-ძმა თამარი და დავითი ქუთაისის ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ერთ-ერთი დამაარსებლები იყვნენ. ახალგაზრდებს გვწამდა ჩვენი იდეები, მე აქტიურ მუშაობას ვეწეოდი ქალთა შორის.

ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანიული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვარ, მონაწილე ვარ საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა; მყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. ისინი სამშობლოს სიყვარულის, შრომისმოყვარეობის სულისკვეთებით აღვზარდე.

დღევანდელი თაობის ვალია მტკიცედ დაიცვას და პატივი სცეს მამათა და დედათა რევოლუციურ ტრადიციებს.

**თინა ლეჟავა** – **რევოლუციონერების ქალიშვილი.**

ჩემი მშობლები პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ: მამა – შამშე ლეჟავა, სკკპ წევრი 1896 წლიდან, დედა – ელისაბედ ლეჟავა (ჭიჭინაძე), სკკპ წევრი 1903 წლიდან. ორივეს უსაზღვროდ უყვარდა კომუნისტური პარტია და ერთგულად ემსახურებოდნენ მას.

მე ყოველთვის მომწონდა მშობლების ცხოვრების პრინციპები: კომუნისტის უმწიკვლობა, სიკეთე, უანგარო და თავდადებული შრომა. შვილებიც ამ სულისკვეთებით გაგვზარდეს.

პირადი მაგალითი კი, უპირველესად, კომუნისტებმა უნდა მისცენ ახალგაზრდებს. მათ სიტყვისა და საქმის ერთიანობა რწმენას განუმტკიცებს და გარდაქმნის დასაჩქარებლად განაწყობს.

მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნვამ ააშენებინა მამაჩემს კურორტი შოვი, ბავშვთა დასასვენებელი სახლები, გაახსნევინა პიონერთა ბანაკები, საავადმყოფოები და აფთიაქები, გააყვანინა გზები და წყლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყველა საქმის განხორციელებისას დედაჩემიც მხარში ედგა მას.

ასეთად წარმომიდგენია მე კომუნისტების ცხოვრება და მოღვაწეობა – სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რომელთა მაგალითსაც უნდა ეზიარონ ყველა მშრომელი, ახალგაზრდობა – ჩვენი ქვეყნის იმედი და საყრდენი.

**ნინო ჩირაძე** – **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.**

– კომუნისტურმა პარტიამ ბევრი მგზნებარე რევოლუციონერი ქალი აღზარდა. ქართველი ქალის გონიერების, ნიჭიერებისა და სიმამაცის აურაცხელი მაგალითი იცის საქართველოს რევოლუციური წარსულის სახელოვანმა ისტორიამ. ქართველმა ქალმა შარავანდედით შემოსა თავისი სახელი, როგორც სამშობლოსათვის ღირსეულ შვილთა აღმზრდელმა დედამ, როგორც საგმირო და უკვდავ საქმეთა შთაგონების წყარომ და სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მამების, ძმების, ქმრებისა და შვილების გვერდით მებრძოლმა. საყოველთაოდ არის ცნობილი მ. ჩოდრიშვილის, ბ. ბოჭორიძის, ნ. ლელაშვილის, ბ. პაპუნაშვილის, მ. მიქაძის, ე. ლეჟავას (ჭიჭინაძის) და სხვათა გმირული საქმეები, მათი შეუპოვარი ბრძოლა, თავგანწირვა, თავდადება.

ბევრი მათგანი გმირულად დაეცა, ვერ მოესწრო უკეთესი მერმისის დადგომას, მაგრამ ბევრი ახალი ცხოვრების შენების ფერხულში ჩადგა და საკუთარი თვალით იხილა განახლებული ქვეყანა. ცოცხლობს წინაპართა საქმეები, მათი მიზნები. დღეს ქართველი ქალები აგრძელებენ მათს დიდებულ ტრადიციებს.

**ევგენია ქურციკიძე** – **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ვეტერანი კომკავშირელი.**

– დიდი ოქტომბრის ძლევამოსილმა შუქმა სამი წლის შემდეგ საქართველოში მოაღწია ტრიუმფით და მდიდარი რევოლუციური ტრადიციების პარტიულმა ორგანიზაციამ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედნიერი მომავლისათვის თავდადებული შრომა გააჩაღა.

ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელმა ახალგაზრდობამ – პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ წარმატებებში ცოტა წვლილი როდი შეიტანეს. კარგად მახსოვს 1930-1931 წლებში ჩელუსკინელთა სახელობის ხიდის მშენებლობის სამუშაოებს ქალაქის პიონერთა ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი სკოლის პიონერთა ორგანიზაციაც, (რომლის ერთ-ერთი რაზმის უფროსი გახლდით), რა დიდი ენთუზიაზმით და ხალისით ასრულებდა.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ხიდი მდინარე ვერეს მრავალდელტიან გაშლილ კალაპოტზე უნდა გამოსულიყო, რომელიც ქვა-ღორღით იყო სავსე. მისი გასუფთავება და წესრიგში მოყვანა ქალაქის პიონერთა ორგანიზაციას დაეკისრა. თბილისის პიონერთა ორგანიზაციამ დავალება დიდი წარმატებით შეასრულა. დღეს რომ „გმირთა მოედანი“ ამ თავისი დიდებული სახელითა და სილამაზით ჩვენს სანუკვარ თბილისს ამშვენებს, ამაში თბილისის პიონერთა ორგანიზაციის შრომითი წვლილიც არის.

ორმოცდაათიან წლებში თბილისის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით დაიწყო და გაშენდა ვაკის პარკი, რომელსაც დღეს „გამარჯვების პარკის“ სახელი ჰქვია, იგი ამშვენებს ჩვენს ქალაქს, კულტურული დასვენებისა და გართობის დიდებული ადგილია თბილისელებისათვის და მისი სტუმრებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მისი მრავალეროვანი მოსახლეობა ყოველთვის ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიებას.

**სოფიო მორჩილაძე** – **რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ომისა და შრომის ვეტერანი.**

– 1942 წლის თებერვალში მოხალისედ წავედი დიდ სამამულო ომში. მომცეს უფროსი პოლიტხელის წოდება.

1945 წელს დემობილიზაციით დავბრუნდი თბილისში. ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექტორად დამნიშნეს. 50 წელი პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი და ამჟამად დამსახურებულ პენსიასაც ვიღებ.

საბჭოური ცხოვრების განვითარების სწრაფი ტემპი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გარდაქმნასაც მოითხოვს. აუცილებელია გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდის შეცვლა, მათი გააქტიურება სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მათში უნდა ჩავნერგოთ პატრიოტიზმი, აღვზარდოთ სამშობლოს ტრფობით გულანთებულნი, რაც ოჯახის, სკოლის, ქალაქის, სოფლის სიყვარულს შეიცავს.

გარდაქმნა ყველაზე მეტად სკოლებს სჭირდება, რადგან იქ ჩვენი მომავლის იმედი, ახალგაზრდობა იზრდება.

**მარიამ მუშკუდიანი** – **დიდი სამამულო ომის ვეტერანი კომისარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი.**

– ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს დიდ სამამულო ომში მკერდით იცავდა 40-იანი წლების ახალგაზრდობა. ხელყუმბარებით უვარდებოდნენ ტანკებს. ბრძოლებში მტერს ერკინებოდნენ. აი, ასეთი ვაჟკაცური შემართებით შესწირა სიცოცხლე სამშობლოს დაცვას საქართველოდან 350 ათასმა ახალგაზრდა მეომარმა.

ომი ყველას ცხოვრებას შეეხო. ბიოლოგს შემეცვალა მეცნიერებაში სავალი გზები და დიდი სამამულო ომის გზაზე პოლიტმუშაკი, საზენიტო ბატარეის კომისარი გავხდი. მებრძოლისათვის ყველაზე მძლავრი იარაღი სამშობლოს სიყვარულია და ეს გვინერგავდა გამარჯვების ღრმა რწმენას.

კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალები თოკზე დაკიდებულს გადამივლია, მაგრამ დავალება შემისრულებია.

ამჟამად სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს ვემსახურები, მათი უპირველესი ვალია სათუთად შემოინახონ მამა-პაპათა სახელები, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სიყვარულს შესწირეს.

**თამარ გოთუა**, **ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

– ვიგონებ დიდი სამამულო ომის მძიმე წლებს. ვამაყობ იმდროინდელი ახალგაზრდობის შეუპოვრობით, მათი პატრიოტიზმით, ინტერნაციონალიზმით, ერთგულებით. ზურგში თავდადებული შრომა გულის აურაცხელი სითბო იყო.

და ეს ყოველივე გამარჯვების საწინდარი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხ. მორჩილაძე, თ. გოთუა, ე. ქურციკიძე, ი. მიქაძე, მ. გოცირიძე, ნ. ჩირაძე, მ. ცისკარიშვილი, ე. ლავთაძე, მ. მუშკუდიანი, ე. მაზანაშვილი

ნაცარტუტად ქცეული ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და დაწესებულებების მშენებლობა — აღდგენა — ეს ხომ ჩვენმა ხალხმა, ახალგაზრდობის გამრჯე მარჯვენამ უზრუნველჰყო.

შემდგომშიც მრავალჯერ დადასტურდა საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი სწორი სულისკვეთება, პრინციპულობა და შემართება.

დღეს გარდაქმნა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როდია. ეს ეხება ყველა ჩვენთაგანს, ყველა რგოლს, ყველა უბანს. ჩვენ, ვეტერანები, ახალგაზრდობას კარგ მაგალითს ვაძლევთ და ისინიც მხარს გვიმშვენებენ.

**ეთერ მაზანაშვილი — შრომის ვეტერანი.**

— 1929 წელს მივედი თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. დაზგას სიფრთხილით მივუჯექი. მაგრამ ყოველდღიურად მაინც ვქსოვდი შვიდ მეტრ საკაბეს. აქედან დაიწყო ჩემი მუშური ცხოვრება. მიყვარდა მქსოველის პროფესია. მალე ორ დაზგას ვემსახურებოდი. სხვადასხვა დროს ვიყავი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ოცდაათიან წლებში ამ ახლადფეხადგმულ საამქროებში დიდ წარმატებებს აღწევდნენ გამოცდილი მქსოველები ლუბა ადამია, მარიამ შენგელია, ცირა კილასონია, ანა ლომაძე, ლიზა ცხომელიძე, ცირა გაფრინდაშვილი და სხვები. ეს სახელები აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ისტორიაშია შესული.

ვეტერანებს სიხარული გვიპყრობს, როცა ვიგებთ იმ ადამიანთა ახალ სახელებს, რომლებიც ქმნიან დოვლათს და შორს გააქვთ ღირსება სამამულო პროდუქციისა. ჩვენ დიდ სიმდიდრეს მოვლა უნდა, მომვლელები კი კეთილი ადამიანები უნდა იყვნენ. გარდაქმნას ჯერ კიდევ არ შეუძენია საჭირო გაქანება და სიღრმე.

**ელენე ლავთაძე — შრომის ვეტერანი.**

— ზესტაფონელმა ქალიშვილმა თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მქსოველად დავიწყე მუშაობა. მალე ბრიგადირი გავხდი. მუშაობასთან ერთად დაუსწრებლადაც ვსწავლობდი და 1950 წელს მოსკოვის საკავშირო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტი დავამთავრე, გავხდი ინჟინერ-ტექნოლოგი ქსოვის სპეციალობით.

ორმოციან წლებში ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი უკვე სახელგანთქმული მქსოველი ეთერ მაზანაშვილი იყო, მე მაშინ კომკავშირის კომიტეტის მდივნად ამირჩიეს. ვიყავი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

44 წელი მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ვიმუშავე, ოთხი ორდენი, ხუთი მედალი, საკავშირო საფეიქრო სამინისტროს ფრიადოსნის სამკერდე ნიშანიც დავიმსახურე.

ახლა, როცა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს აღვნიშნავთ, ჩვენს ქვეყანაში დიდი რევოლუციური გარდაქმნებია. დიდია თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობა.

საწარმოებში სიახლეებია. საქმის წინამძღოლს ხალხი ირჩევს და თავის კანდიდატს მასა მხარში თანადგომას უცხადებს. მომხმარებელთა დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნილება პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლებაა. მისახედია ჩამორჩენილი უბნები. ბევრი საქონელი არ მიესადაგება მომხმარებელთა გემოვნებას. ამიტომ არის საჭირო, რომ არ იყოს დროის დანაკარგი და უსულგულობა.

**მარინე ცისკარიშვილი — თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის სამკერვალო საამქროს ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

— თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის კოლექტივი ძირითადად ქალთა კოლექტივია, მომუშავე 1300 მუშა-მოსამსახურეთაგან 90 პროცენტი ქალია, მათ შორის უმრავლესობა — ახალგაზრდობა.

ფაბრიკის პროდუქცია ნაირფეროვანია — ქალის, კაცის, ბავშვის ზედა ტრიკოტაჟი.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, დაჩქარებისა და განახლების პროცესი მწვავედ აყენებს საკითხს, რომ გარდაიქმნას მუშაობის სტილი და ფორმა. ჩვენთან რა კეთდება ამ მიმართებით?

მიმდინარეობს ფაბრიკის რეკონსტრუქცია. ჩვენი საწარმოს საამქროებში ბრიგადები გადაყვანილია შრომის ანაზღაურების ბრიგადულ ფორმაზე, ამან გაზარდა სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტი და შეამცირა დროის დანაკარგები. გათვალისწინებულია ინდივიდუალური კერვის შემოღება. ეს მკვეთრად გააუმჯობესებს პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

ხარისხს და დააკმაყოფილებს მომხმარებელთა სურვილებს. ჩვენც გადავწყვიტეთ კოოპერატიული შრომა დავაწესოთ, სადაც იმუშავებენ პენსიონერი ვეტერანები, მათი სტუდენტი შვილები, თუ შვილიშვილები.

ეს ღონისძიება გაზრდის წარმოების ეფექტიანობას, საშუალებას მოგვცემს დროულად გადავიდეთ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, რაც ერთ-ერთი წყაროა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა. მე თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვარ, ასევეა ჩვენი საწარმოს ყველა მუშა. ჟურნალში მოყვანილი შეფასება ქალის როლისა და ღირსების შესახებ ჩვენს ახალგაზრდობას კიდევ მეტს ავალებს. დე, მხოლოდ საქმით ვიყოთ სამშობლოს პატრიოტები, ილაპარაკოს მხოლოდ ჩვენმა შემართებამ, გარდაქმნამ!

**მერი გოცირიძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

— დღევანდელი შეხვედრის თითოეული მონაწილის გამოსვლა ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ქალთა რევოლუციური მოძრაობის, შრომისა და ბრძოლის ისტორიას, ფაქტებით ცხადყოფს, რომ ბოლო შვიდი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ყოფილა პრობლემა, რომლის გადაჭრა-მოგვარებაში ქალებს თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ. ქალი — რევოლუციონერი, ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის მონაწილე — ახალი ცხოვრების შემოქმედი მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერად იხდის ვალს ქვეყნის წინაშე.

ქართველ ქალთა ცხოვრების მემატიანეთ ამ მხრივ ბევრი აქვთ სათქმელი და ამბობენ კიდეც. მეცნიერები მარიკა ლორთქიფანიძე და მაყვალა ნათმელაძე, დოცენტი ალექსანდრა ართილაყვა, ნელი ბერძენიძე, დომნა გოგოტიშვილი, ევგენია ქურციკიძე, ნინო ჩიხლაძე, ნინო ჩირაძე, ლამარა ბოლქვაძე, გულიკო კიკნაძე, დავით ქორიძე გულმოდგინედ აღნუსხავენ ქალთა ნამოღვაწარს და ჯეროვან პატივს მიაგებენ მათ.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე აწ განსვენებული მეცნიერი ქსენია ანთიძე, რომელმაც მრავალი შრომა გამოაქვეყნა არა მარტო დიდ სამამულო ომში ქალთა როლზე, არამედ რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მათს ღვაწლზე.

შრომისა და ბრძოლის ფრონტზე დავწინაურდით, მაგრამ, როგორც სამართლიანად გვისაყვედურებენ, „დედობის ფრონტი" რამდენადმე შეგვისუსტდა. მეტად სავალალოა, რომ თითო-ოროლა შვილს ვჯერდებით და მომავალზე ნაკლებად ვფიქრობთ. საუკუნენახევრის წინათ გულისტკივილით დასმული კითხვა: „ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი მამულს ასული ახლა თქვენგვარი?" დღეს ავის მომასწავებელ საშიშროებაზე მიგვანიშნებს. ახალგაზრდა თაობამ თუ ეს საკითხი გონივრულად არ გადაჭრა, დედათა (და არა მარტო დედათა) შეცდომა სავალალო გახდება.

ამასთან, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, დედა მარტო მშობელი როდია. იგი პირმშოს ზნეობრივი და გონივრული მწვრთნელია. მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, თავს მაინცდამაინც ვერც აქ გამოვიდებთ, საკითხავია ამ თითო-ოროლა შვილს ისე ვზრდით, როგორც ეს ჩვენს წარსულსა და მომავალს შეეფერება?!

ჩვენი დღევანდელი მასპინძლის — „საქართველოს ქალის" რედაქციის მიერ მოწყობილი ასეთი საქმიანი შეხვედრები ნათლად წარმოაჩენს ქალთა ღვაწლს, ამასთან ამზეურებს ჩრდილოვან მხარეებს, ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორება ხელს შეუწყობს განახლებისა და გარდაქმნის დაჩქარებას.

* * *

**რედაქციაში მოწვეულმა უფროსი თაობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენელთა საუბრებმა გააცოცხლა წარსული, რევოლუციის გამარჯვება, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები, წარმოაჩინა შრომითი თავდადების სურათები, ამხილა ბიუროკრატიზმი და ნეგატიური მოვლენები, ოქტომბრის მონაპოვრებისა და ახლანდელი რევოლუციური გარდაქმნების ორგანული კავშირი წარმოსახა, რასაც ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს. ხალხი კი ის ძალაა, რომელიც პარტიას უდგას მხარში სიძნელეებისა და გადასაჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად.**

„მრგვალ მაგიდას" უძღვებოდა

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქ დაირწა რევოლუციის აკვანი

# მოგონებანი შორეულ დღეთა

წელს, ზაფხულში „კომსომოლსკაია პრავდა“ წერდა, რომ ბევრი რევოლუციონერი ქალის სახელი რატომღაც დავიწყებულიაო, იმათ შორის, ნათელი კვალი რომ დატოვეს რუსეთის რევოლუციის ისტორიაში, გაზეთი იხსენიებდა ვერა ფიგნერს, რომელმაც 22 წელი შლისენბურგის ციხეში გაატარა.

დავინტერესდი მიმეკვლია ვერა ფიგნერის ახლობლებისათვის, რომ მისი ვინაობის შესახებ მეტი გამეგო.

შემთხვევით ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე კირა ალექსანდრეს ასული ისაკოვა გავიცანი, შრომის ვეტერანი, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია ერთ ადგილზე „კრასნი ოქტიაბრში“ მუშაობს. ომი რომ დაიწყო, შვიდი კლასი დამთავრებული ჰქონდა. გადაწყვიტა ფაბრიკა „კრასნი ოკტიაბრში“ მისულიყო. კირამ ლამაზი მოხატულობის ხელით შესრულება აითვისა და იმ ადგილს აფორმებდა, სადაც წარწერა იყო მოთავსებული, მაგრამ მალე ომმა პიანინოების ნაცვლად ფრონტისათვის საჭირო მასალების დამზადება მოითხოვა. იდგა გოგონა საამქროში და იმ ნდობით სარგებლობდა, მხოლოდ დიდებისათვის რომ გაიმეტებენ — ისეთ დავალებას ასრულებდა, რასაც გამხელა არ ეგებოდა.



კირა ისაკოვა

შიმშილი და სიცივე ერთიანად უტევდა კრასნიოკტიაბრელებს, ქალაქის მოსახლეობას, მაგრამ არაადამიანური შეგუების უნარი ყველას ერთმანეთისაგან გადასდებოდა.

— იცით, რამ ამატანინა ის მძიმე დღეები? — გაიხსენა კირა ალექსანდრეს ასულმა, — სკოლაში ისტორიის მასწავლებლის ნაამბობმა ვერა ფიგნერის შესახებ. იგი იყო ჩემი იდეალი: სულ ახალგაზრდა შევიდა ციხეში რევოლუციონერი ქალი და იქიდან მოხუცი გამოვიდა; მაგრამ იდგა უშიშრად, არ ეცემოდა არც კარცერში, არც ქვის იატაკიან საკანში, თანაც ყოველთვის იყო მარტო...

ამ საუბრის შემდეგ უფრო მოვინდომე ვერა ფიგნერის ასავალ-დასავალი გამეგო და აი, „ვეჩერნი ლენინგრადელი“ კოლეგა ლუდმილა კონსტანტინეს ასული ალექსანდროვა დამეხმარა — მივაკვლიე ვერა ფიგნერის ძმის შვილიშვილს, მარგარიტა ედვინის ასულ ფიგნერს, რომელიც ლენინგრადის ახალ უბანში ცხოვრობს.

მარგარიტა ედვინის ასული ამჟამად პერსონალური პენსიონერია. მას მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა თაობები აღუზრდია. კეთილი მასპინძელი ამაყობს თავისი ბებიით და საუბრისას ხან ვერა ფიგნერის სხვადასხვა დროს გამოცემულ ლექსების კრებულებს მაწვდის, ხან ვერას მიერ დაწერილ სქელტანიან მოგონებებს განვლილი გზის შესახებ.

ვერა ნიკოლოზის ასული ფიგნერი დაიბადა 1852 წელს. ყაზანის გუბერნიაში, სოფელ ხრისტოფოროვოში, მემამულის ოჯახში. ბავშვობა სოფელ ნიკიფოროვოში (მეორე მამულში) გაატარა. ზრდიდა ძიძა, შემდეგ გუვერნიორი. სწავლობდა ენებს, ხატვას, მუსიკას. იგი ზედმიწევნით ლამაზი და ნიჭიერი იყო, კითხულობდა ძალიან ბევრს. კითხვა დედამ შეაყვარა. მამის სისასტიკემ გლეხების მიმართ მას ბავშვობიდანვე აღუძრა სიბრალულისა და ჩაგრულთა დაცვის გრძნობა.

ეკატერინე და ნიკოლოზ ფიგნერებს ხუთი შვილი ჰყავდათ — სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი. ვერა ყველაზე უფროსი იყო. ქალიშვილები — ვერა, ლიდია და ევგენია ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას დაადგნენ, რისთვისაც მეფის მთავრობა მათ სასტიკად გაუსწორდა.

1877 წელს, „50-იანთა პროცესზე“ პეტერბურგელ რევოლუციონერ-ხალხოსნებთან ერთად გაასამართლეს ლიდია.

1880 წელს „16-იანთა პროცესზე“, რომელიც შეეხებოდა ზამთრის სასახლეში მომხდარ აფეთქებას, დაისაჯა ევგენია.

მათი უფროსი და ვერა კი უფრო შორს წავიდა. მეფის მთავრობამ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რაც პეტრე-პავლეს ციხეში კარგა ხნის ლოდინის შემდეგ სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. ვერა შლისენბურგის ციხეში გადაიყვანეს. აქ ყოფნა კი თანდათანობით, სიკვდილს უდრიდა. ვერამ იქ 22 წელი დაჰყო.

ვერა ნიკოლოზის ასულმა თავის დროზე კარგი განათლება მიიღო. სწავლობდა ყაზანში, როდიონოვის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. უმაღლესი განათლების მისაღებად იგი შვეიცარიაში აპირებდა წასვლას, მაგრამ ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი მამამ მარტო არ გაუშვა. მალე ვერა ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა მემამულეს, იურიდიული განათლების მქონე ალექსი ფილიპოვს. 1872 წელს ვერა მეუღლესთან და დასთან, ლიდიასთან ერთად ციურიხში ჩავიდა. მისი ოცნება ასრულდა, იგი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმ ხანებში შვეიცარიაში იმყოფებოდნენ რუსი ემიგრანტი-რევოლუციონერები. ვერამ და ლიდიამ მათი იდეების დიდი გავლენა განიცადეს. ისინი ესწრებოდნენ მუშათა კრებებს, I ინტერნაციონალის სექციის სხდომებს, ჩაირიცხნენ პროგრესულ ქალთა წრეში. ალექსი ფილიპოვი ვერ შეეგუა მეუღლის ამგვარ გატაცებას და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

ციურიხის უნივერსიტეტიდან რევოლუციურად მოაზროვნე რუსი სტუდენტი ქალიშვილები დაითხოვეს. ვერამ სწავლა ბერნის უნივერსიტეტში განაგრძო. 6 თვე უკლდა უნივერსიტეტის დასრულებას, რომ მეგობრებმა ვერა რუსეთში დასაბრუნებლად გამოიძახეს. ვერამ უყოყმანოდ მიატოვა უნივერსიტეტი და რუსეთში დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერა ფიგნერი

ვერა გადის ხალხში, გლეხობაში, როგორც ფერშალი კურნავს მათ, თანაც რევოლუციური იდეების გავრცელებას ეწევა. დაიწყო ხალხოსანთა დევნა და დაპატიმრება. ვერა იძულებულია დატოვოს სოფელი, იგი ჩამოდის პეტერბურგში და ესწრება ხალხოსანთა გასამართლებას. ამ პროცესზე იგი დაუახლოვდა სოფიო პეროვსკაიას. შემდეგში ვერა ისევ ცხოვრობს სოფლად, ხან ერთგან, ხან მეორეგან. მისი ხალხოსნური მოღვაწეობა არც იქ რჩება შეუმჩნეველი. ეს ის დროა, როცა ნაროდოვოლცები ტერორის გზას ადგებიან, ამზადებენ ალექსანდრე II-ის მოკვლას და უსაფრდებიან სხვადასხვა ადგილებში. ვერა ფიგნერი სწორედ ამ მიზნით მიემგზავრება ოდესაში. იგი როგორც „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წევრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციონერთა შორის. მის სახელს იხსენიებდნენ ჟელიაბოვის, მიხაილოვის, პეროვსკაიას სახელებთან ერთად. ვერა შლის მუშაობას პეტერბურგის სამხედრო ორგანიზაციებში, რის შედეგადაც ოფიცერთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ხალხოსნებს.

1881 წლის 1 მარტს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა მოჰკლეს ალექსანდრე II. ამიტომაც 1881 წლის 3 აპრილს სიკვდილით დასაჯეს ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და მიხაილოვი. მართალია ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მათ გააოცეს მსოფლიო. მსხვერპლი ტყუილად არ დაკარგულა. ნაროდოვოლცებმა ხელი შეუწყვეს შემდგომ რევოლუციურ აღმავლობას რუსეთში.

ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ დაიწყო მასიური დაპატიმრება. „ნაროდნაია ვოლია" დაიშალა. მისი ძირითადი ბირთვის 28 წევრიდან 8-ღა დარჩა. ვერა ფიგნერი ტოვებს პეტერბურგს და ოდესაში გადადის. შემდეგ სხვადასხვა ქალაქშია, ეძებს მომხრეებს, რომ აღადგინოს ორგანიზაციის ცენტრი, მაგრამ უშედეგოდ. ვერას ფეხდაფეხ დაჰყვება ნაროდოვოლცებთან დაახლოებული დეგაევი. იგი სარგებლობს ვერას ნდობით და ასმენს მას. 1883 წლის თებერვალში ვერას აპატიმრებენ და ჩამოჰყავთ პეტერბურგში. დიდია ვერას განცდები დეგაევის ღალატის გამო.

1884 წლის სექტემბერში დაიწყო „14-ის პროცესი". ვერას და 6 ოფიცერს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

პროცესის ბოლოს ვერამ მხნეობა მოიკრიბა, რათა შეესრულებინა თავისი მოვალეობა ორგანიზაციისა და დაღუპული ამხანაგების წინაშე და წარმოთქვა საბოლოო სიტყვა:

„მე ხშირად მიფიქრია, შემეძლო თუ არა ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წამეყვანა და დამემთავრებინა სულ სხვანაირად, არა ისე, როგორც ახლა ვამთავრებ — მიხჯილის სკამზე. და ყოველთვის მითქვამს არა".

შლისენბურგის ციხის სამუდამო პატიმარმა ვერა ფიგნერმა დაკარგა თავისი სახელი და გვარი. იგი იხსენიებოდა № 11 პატიმრად. ახლობლებთან მიმოწერის უფლება მას მისცეს წელიწადში ორჯერ და ისიც ცამეტი წლის შემდეგ, დღეღამეში 40 წუთი ეთმობოდა გასეირნებას, დანარჩენი 23 საათი 20 წუთი ვერა იმყოფებოდა საკანში. ყოველგვარი კატორღული შრომა ერჩივნა ვერას გაუნძრევლად მარტო ყოფნას. ვერას 13 წელი არ უნახავს მთვარიანი ან ვარსკვლავიანი ცა. შვიდი წელი მისთვის არ მიუციათ ქაღალდი, რომ რაიმე დაეწერა. იგი ზეპირად თხზავდა ლექსებს, იმახსოვრებდა და მხოლოდ შემდეგ გადაიტანა ქაღალდზე. მან ხალხს აჩუქა მისდამი სიკეთით სავსე ლექსები, შემდეგში ვერა ამბობდა, მე თუ ვარ მწერალი, ეს შლისენბურგის ციხის დამსახურებააო.., მას რომ ჯანმრთელობა შეენარჩუნებინა, დადიოდა თავის მოცუცქნულ საკანში და 22 წელი იმდენი იარა, რომ, ალბათ, დაფარავდა მანძილს ეკვატორის ირგვლივ. ზოგჯერ პრინციპულობისათვის მას კარცერში სვამდნენ. ერთხელ კარცერიდან იგი თმაგათეთრებული გამოვიდა...

პატიმარი № 11 შლისენბურგელ პატიმრებს გაღმერთებული ჰყავდათ, ყურს უგდებდნენ და ატარებდნენ ყოველ მის მითითებას და აზრს.

22-ე წელი იწურებოდა ციხეში. განთავისუფლება ვერასათვის მოულოდნელი იყო. 1903 წლის 13 იანვარს ვერასთან საკანში კომენდანტი შევიდა და ამცნო, რომ მისი პატიმრობა დასრულდა მომაკვდავი დედის მიერ მეფისადმი გაგზავნილი თხოვნის შედეგად. მაგრამ ვერამ დედას ცოცხალს ვერ მიუსწრო.

ჯანმრთელობაშერყეულმა ვერა ნიკოლოზის ასულმა შემდგომი წლები საზღვარგარეთ გაატარა მკურნალობის მიზნით, თანაც იქ მეტი თავისუფლება ჰქონდა. იგი ახლოს იდგა ევროპასა და რუსეთში მიმდინარე იმ მოვლენებთან და სიახლეებთან, რაც ხალხის განთავისუფლებას, ბედნიერ მომავალს შეეხებოდა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას ვერა ნიკოლოზის ასული აღფრთოვანებული შეხვდა. მაშინ იგი 70 წელს იყო მიღწეული: აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში, წერდა მოგონებებს, ნარკვევებს, სტატიებს, რომლებიც სქელ ტომებად გამოიცა, აქტიურად ეხმარებოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას. იგი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1942 წელს:

მისი ცხოვრება მთელი ისტორიული ეპოქა იყო.

მის ბრძოლას საპატიო ადგილი უჭირავს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

ლია კაკაბაძე

# კურთხეულ იყოს

მზის ცხელი გულის ვარ ნაპერწკალი,
ამ ედემ-ბაღის ვდგავარ დარაჯად,
ბუდეს ვაშენებ, როგორც მერცხალი
და გაზაფხული მომყავს მარადჟამს.

ჩემი სამშობლოს მწვანე წალკოტში,
შრომის, დიდების არის გალობა.
ჟღერენ ჩანგები სულის დამტკბობნი, —
მაღალმა ზეცამ რომ გვიწყალობა.

სვეტიცხოველში სანთლად ავანთე,
ჩემი ოცნების ატლასის ფრთები.
კურთხეულ იყოს ჩვენი სავანე
და ეს ამაყი ბებერი მთები.

ქეთევან მოსეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს რუსუდან ნიკოლაძეს ახალგაზრდობის წლებში, წინასაოქტომბრო ქარიშხლიან დღეებში ჰქონდა ბედნიერება მრავალგზის შეხვედროდა ლენინს შვეიცარიასა და პეტროგრადში. რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები ლენინზე ქართული ლენინიანის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

ვაქვეყნებთ ნაწყვეტს რ. ნიკოლაძის მიერ 1975 წელს გამოცემული მოგონებების წიგნიდან — „ცხოვრების დიდ გზაზე".



რუსუდან ნიკოლაძე

# ლენინის ჩამოსვლა

1905 წელი. ჟენევა. 1917 წელი და ნევის ნაპირები, თებერვალ-ოქტომბრის პეტროგრადი, რომელიც ისტორიული აუცილებლობით სულ მალე ლენინის ქალაქად უნდა გადაქცეულიყო. ორივე ეს უძვირფასესი თარიღი სამუდამოდ არის შთაბეჭდილი იმ დაუვიწყარი დღეებისა და წუთების ბედნიერ მომსწრეთა გულებში.

ეს იყო დღეები და წუთები, როცა ჩვენ ვხედავდით და ვუსმენდით ლენინს რუსეთის ჯერ პირველი, შემდეგ მეორე რევოლუციის დიად წლებში.

X X X

ვისაც თვითონ არ განუცდია, ის ძნელად წარმოიდგენს, რამდენად შეცვალა თავრიდის სასახლის მთელი გარემო, პეტროგრადის მთელი ვითარება ლენინის ჩამოსვლამ.

ეს განსხვავება და ყველაფერში სიახლე დაიწყო უკვე წინა ღამიდანვე, როცა პეტროგრადის მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები შეხვდნენ მატარებელს, რომლითაც ლენინი ჩამოდიოდა. ფინეთის სადგურთან, თვით სადგურის წინ მოედანზე მოზღვავებული ხალხის ისეთი ჭედვა იყო, რომ შენობამდე გზის გაკაფვა და შიგ შესვლა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამაბედნიერა ცნობამ, რომ მე და ჩემი და თამარი შეტანილი ვიყავით ლენინის შესახვედრად სასახლიდან მიმავალთა სიაში. ჟენევის შემდეგ ის არ გვენახა და ახლა, ამ სულ ახალ გარემოში მოუთმენლად მოველოდით მის დანახვას, მოსმენას, მისთვის ჩვეულ კამათს, საკითხის ახლებურად დაყენებას, გაშუქებას...

თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო ხალხის გულის ფეთქვა, მისი სულის ამოფრქვევა, რაღაც გრიგალისებური. სამი აპრილის ღამე ჩემთვის დაუვიწყარია.

ჩვენ სადგურზე ადრე მივედით სკობელევის მანქანით და ყოფილი მთავრობის ოთახების გზით პირდაპირ ბაქანზე გავედით, სადაც სადგურის უფროსი უკვე მიუთითებდა ჩხეიძეს, სად სჯობდა დადგომა ჩვენთვის საინტერესო მატარებლის ვაგონის უკეთ შესახვედრად. სადღაც დაგვაყენეს, მაგრამ ამ დროს მეორე კარიდან ჩვენსკენ წამოვიდა დარბაზიდან აშკარად ძალით გამოღწეული ხალხის ნიაღვარი: მეზღვაურები, აალებული ჩირაღდნებით, მუშები, ჯარისკაცები... იმ ტალღამ ჩვენი ჯგუფიც შთანთქა. ყველაფერი აირია, და ერთმანეთი დავკარგეთ. ამ დროს მატარებელიც გამოჩნდა უკვე სულ ახლოს და მოადგა ბაქანს. იმ ხალხის ტალღამ, თითქოს ერთ არსებად ქცეულიყოს, რაღაც დაიძახა და უეცრად სადღაც მარცხნივ გაიქცა, მატარებლის წინა ნაწილისაკენ. ჩვენც თან წაგვლეკა და პირდაპირ იმ ვაგონის კიბესთან მიგვტყორცნა (სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია), რომელზედაც უკვე გამოსული იყო ლენინი.

მის დანახვაზე უკვე ყველაფერი ამოძრავდა. ყველაფერი აირია. ლენინი ხელში აიტაცეს და წაიყვანეს. ჩვენ უკან მივდევდით. თურმე მოედანზე მდგომი ჯავშნოსანისაკენ მივრბოდით, იქ მიჰყავდათ ლენინი კრონშტადტის მეზღვაურებს და ორსამ ჯარისკაცს. მეც მათ ავედევნე, რომ ლენინის სიტყვა გამეგონა. უცებ ლენინი ჯავშნოსნის კოშკზე აღმოჩნდა; ჩირაღდანი მიეცათ ხელში, რათა ხალხს ის შუაღამისას შორიდან დაენახა. ეს ჩირაღდანი მან მაღლა ასწია და ისე მიესალმა სადგურის მოედნის ცოცხალ ზღვას.

ლენინმა თავისი ჩირაღდანი დაბლა მდგომთ გადააწოდა და განთავისუფლებული ხელი მაღლა ასწია ჰაერში, — მინდა გესაუბროთ, დაწყნარდითო!

სულგანაბული უსმენდა ყველა, როცა ლენინმა თავისი მისალმების პირველი სიტყვებით მიმართა მის წინ გადაშლილ ცოცხალ სტიქიონს. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ლენინის ენერგიულმა შეძახილმა: გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!....

მართლაც რომ უკვდავია იმ ნახევარი საათის ყოველი წუთი, წამი, ყოველი სიტყვა!

ასე დაუბრუნდა ლენინი ყოფილ მეფის რუსეთს, რათა გადაექცია იგი მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მშვიდობიანი ნოემბერი

მოგონება

ორიოდე დღის წინ დავტოვეთ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია და ლვოვის ოლქში განვლაგდით. დილიდანვე ხვავრიელად მოთოვა. წყნარი მზიანი დილა თენდებოდა. ჩვეულებისამებრ ადრე ავდექი. გარეთ გავედი და ბამბასავით თეთრი თოვლით ტანის ზელვა დავიწყე. ის იყო სტარტზე დავდექი, რომ ორასიოდე მეტრი თოვლზე გამერბინა და უცებ ჩემს ადიუტანტს მოვკარი თვალი. იგი ჩემსკენ გამორბოდა და ხელებს იქნევდა. დაველოდე. — ამხანაგო მეთაურო! ამხანაგო მეთაურო! — სულს ძლივს ითქვამდა. — მორიგემ სასწრაფო რადიოგრამა გადმომცა, ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ხოპკო საჩქაროდ თავისთან გიხმობთო. ჩავიცვი და შტაბისაკენ გავემართე. მივდივარ და ვფიქრობ, ნეტა რა მოხდა? როგორც იქნა ყურებმა დაისვენა ქვემეხების გრუხუნისა და ტყვიების წივილისაგან. ნუთუ კვლავ ბრძოლა მოგველის! ომი ფაშისტებთან უკვე ხუთი თვეა რაც დავამთავრეთ, მაგრამ თოფის ლულა ჯერაც არ გაციებულა. ომის შემდეგ დასავლეთ ზონაში — უნგრეთში ჩეხეთში, სლოვაკიასა და პოლონეთში თავი წამოყვეს შეიარაღებულმა ბანდებმა, გახშირდა ღამის თავდასხმები და ბანდიტური გამოხდომები. ახლა მაინც ჩვენს მიწაზე ვართ, აქ რაღა ხდება ნეტავი?

ოთახში მრგვალი მაგიდის გარშემო ბრიგადის მეთაურის გარდა კიდევ ოთხი მაღალი რანგის სამხედრო იჯდა, ესენი იყვნენ: შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ვორონოვი, ოპერატიული განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი კოუზახტიევი, ბრიგადის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში, პოლკოვნიკი ბონდარევი და ერთიც შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი, რომელსაც პირველად შევხვდი. მაგიდაზე ტაქტიკური რუკა ჰქონდათ გაშლილი და ჩემთვის უცნობი პოლკოვნიკი თითით რაღაც ადგილს აჩვენებდა. კარების გაღებისთანავე ჩემკენ მოიხედეს, მეთაურმა თავისუფალ სავარძელზე მიმითითა და მთხოვა, გულდასმით მომესმინა და გამერკვია შექმნილი მდგომარეობა. მცირე სჯა-ბაასის შემდეგ მივიღე საბრძოლო დავალება:

— ბატალიონის 12 ტანკით დაა 60 მედდესანტით საჩქაროდ უნდა შევუერთდეთ პოდზამჩიეში განლაგებულ შინსახკომის ნაწილებს, გადავკეტოთ ყველა გზა და სწრაფი მოქმედებით მოვსპოთ ან დავატყვევოთ პოზდამჩიეს სამხრეთ დასავლეთით მდებარე ხუტორში ჩასანგრებული სტეფან ბენდერის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და გულადი პოლკოვნიკი ვიშნია ბარხუტა თავისი რაზმით. მას სამასზე მეტი კბილებამდე შეიარაღებული ბენდეროველი ახლავს. ამ ძალით აპირებს 6 ნოემბერს დილით 6 საათზე თავს დაესხას პოდზამჩიეს მცირე გარნიზონს, მოსპოს იგი და ამით ჩაგვიმწაროს 7 ნოემბრის დღესასწაული. გიბრძანებთ, შეტევა დაიწყოთ ზუსტად 4 საათზე და 20 წუთზე. ეს დრო მათთვის მოულოდნელი იქნება. იმედი მაქვს თქვენი ოპერატიულობისა და გამოცდილების, აგრეთვე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხვალ, საზეიმო ნოემბრის ალლუმის შემდეგ ოფიცერთა ვახშამი გვაქვს და თქვენი დასწრება სავალდებულოა.

აი ესეც, ომისშემდგომი პირველი მშვიდობიანი ალლუმი. ვინ იცის, რამდენი ჩვენგანი ველარ დაესწრება ამ ზეიმს, — გავიფიქრე გულში, სიტყვიერად კი დავაიმედე ბრიგადის ხელმძღვანელობა:

— იმედი გქონდეთ ყველაფერი რიგზე იქნება, როგორც ყოველთვის. მხოლოდ ამას გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ ლვოველი ამხანაგების გაფრთხილება — ხვალ, 7 ნოემბერს „ღირსეული“ შეხვედრა მოუწყონ ბატონ ბარხუტას, — გავიღიმე და დავემშვიდობე. პოლკოვნიკმა ხოპკომ ხელი მაგრად ჩამომართვა და ერთხელ კიდევ გამიმეორა:

— ხვალ ვახშამზე გელოდები, ვიცი, არ გამაწბილებ. ნახვამდის.

ანთებული ფარებით ხუტორში გრიგალივით შევიჭერით, გაჩაღდა სისხლისმღვრელი ფიცხელი ბრძოლა, ხმის გამაძლიერებლებით პერიოდულად გადავცემდით, რომ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს და ტყვედდანებებულებს სიცოცხლის გარანტიას ვპირდებოდით. ფარის შუქზე უცებ თვალი მოვკარი ექვსკაციანი ჯგუფი ვიწრო ორღობეში ვიღაც დაჭრილს რომ მიარბენინებდა. ტანკით სასწრაფოდ დავედევნე. ძლიერმა შუქის ნაკადმა, ტანკის გრუხუნმა და ხმის გამაძლიერებელმა ისე მომაკვდინებლად იმოქმედეს გაქცეულებზე, რომ მოძრაობის უნარი დაკარგეს და მიწაზე პირქვე გაერთხნენ. დესანტმა იარაღი აჰყარა და ხელებით კოშკის სახელურებზე მიაბეს. მუცელში მძიმედ დაჭრილიც ტანკზე ამოიყვანეს, ჭრილობა შეუხვიეს და ტკივილი რომ შემსუბუქებოდა, სპირტი დაალევინეს. ბრძოლა მალე მინელდა. აქა-იქ კანტიკუნტად გაისმოდა ავტომატისა და შაშხანის ტკაცა-ტკუცი. ტყვედ ჩაბარებულნი ერთ ოთახში მოვათავსეთ. მალე გაირკვა ბრძოლის შედეგი. მათმა ქვემეხებმა სამი ტანკი დაგვიზიანეს, ერთს ხანძარი გაუჩნდა და ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა. დაიჭრა 6 ტანკისტი, დაგვეღუპა 30 და დაიჭრა 46 მებრძოლი. ბენდეროველებმა დაკარგეს 60 მოკლული, 188 ტყვედ ჩაგვბარდა, მათ შორის 80 დაჭრილი. მალე გაირკვა ისიც, რომ ორღობეში აყვანილი პოლკოვნიკი მათი განთქმული ვიშნია ბარხუტა იყო. მე იგი ჩემს ტანკზე ხელფეხშეკრული მივაბი და საჩქაროდ შტაბისაკენ დავიძარი. მეთაურისთვის მიცემული პირობა თითქმის შეუსრულებლად ჩავთვალე, მაგრამ ამაოდ. მან, როგორც კი სპირტისაგან გაბრუებამ გაუარა და გაერკვა თავის მდგომარეობაში, საფეთქელი კოშკურის წახნაგს დაჰკრა და თავი მოიკლა. ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე ამ კაცთმოძულე და სისხლისმსმელმა ბანდიტმა. დაიშალა კიდევ ერთი ბუნაგი. კვლავ მზიანი დილა თენდებოდა და სიხარულით ვხვდებოდით პირველ მშვიდობიან 7 ნოემბერს — ოქტომბრის რევოლუციის 28-ე წლისთავს უკრაინის სისხლით გაპოხილ მიწაზე.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. მრავალ 7 ნოემბერს შევხვდით და ვიზეიმეთ ცოცხლად დარჩენილებმა, მაგრამ განვლილმა მრავალმა წელმა ვერ წაშალა ჩვენ მეხსიერებაში იმ მებრძოლთა ხსოვნა, ვინც ომის შემდეგ მშვიდობიან დროს, საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე ბანდიტთა ტყვიამ იმსხვერპლა. მათი ხსოვნა მარად დარჩება შთამომავლობას ოქტომბრის რევოლუციის მედროშეთა ხსოვნასთან ერთად.

ილია ტატიშვილი

მიეცა
მათ ნიჭს
გზა ფართო

***

ქართველმა ხალხმა ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ ბრძოლის, შრომის და შემოქმედების სახელოვანი გზა განვლო. ამ ხნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მიღწევებიდან ნათლად ჩანს, რაოდენ აღიარებულია ქართველი მეცნიერების პროგრესის ტემპი.

ქართველ მეცნიერ ქალთა სახელები ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც.

# ქართველი მეცნიერი ქალები



ქეთევან ლომთათიძე — ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

ქ. ლომთათიძეს ფართო სამეცნიერო კონტაქტები აქვს უცხოეთის კავკასიოლოგებთან. მასთან ხშირად საკონსულტაციოდ ჩამოდიან უცხოელი სპეციალისტები — ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დასავლეთ გერმანიიდან. ინგლისელმა მეცნიერმა ჯორჯ ჰიუიტმა მისი ხელმძღვანელობით შეისწავლა აფხაზური და აბაზური ენები. ქ. ლომთათიძის ვრცელი მიმოხილვა აბაზური ენისა, უნდა გამოქვეყნდეს ერთ-ერთ ევროპულ გამოცემაში, რომლის რედკოლეგიის წევრია ჯორჯ ჰიუტი.

სულ ახლახან ენათმეცნიერების ინსტიტუტის სტუმრები იყვნენ ცნობილი დასავლეთ გერმანელი ენათმეცნიერი პროფ. კ. შმიდტი და დასავლეთ გერმანელი პროფესორები ვ. ბოდერი და ვ. შულცე.

ქ. ლომთათიძის რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო გამოცემებში.



ეთერ ქემერტელიძე — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის (ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ე. ქემერტელიძე არის საქართველოში ფიტოქიმიური კვლევების ფუძემდებელი და ფარმაკოქიმიის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მთელს კავშირში. იგი ითვლება ჩვენს ქვეყანაში სტეროიდული გლიკოზიდების დარგში წამყვან სპეციალისტად. ე. ქემერტელიძეს საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს როგორც საბჭოთა კავშირის რიგ სამეცნიერო ცენტრებთან და მსხვილ საწარმოო გაერთიანებებთან, ასევე უცხოეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან და ფირმებთან. სამეცნიერო კონტაქტები აქვს შვეიცარიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტთან, ჩეხოსლოვაკიის ბუნებრივ შენაერთთა ინსტიტუტთან, უნგრეთის სამკურნალო მცენარეთა ინსტიტუტთან და ფარმაცევტულ ფირმა „გედეონ რიხტერთან", საფრანგეთის ბუნებრივ შენაერთთა ქიმიის ინსტიტუტთან, ბელგიის ფირმა „იანსენ ფარმაცევტიკასთან" და სხვა.

ე. ქემერტელიძე სხვადასხვა დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესების და სიმპოზიუმების ხშირი მონაწილეა. საზღვარგარეთ გამოქვეყნებულია მისი ათზე მეტი შრომა.



ნინო როინიშვილი — ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივებისა და მაღალი ენერგიის განყოფილების გამგე.

ნ. როინიშვილი თანამშრომლობს საერთაშორისო ექსპერიმენტში „პამირი", სადაც აგრეთვე მონაწილეობას ღებულობენ იაპონიის, ჩინეთის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების ფიზიკოსები. ნ. როინიშვილის შრომები კარგადაა ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში. ერთობლივი შრომისათვის სხვადასხვა დროს იგი მიწვეული იყო ბოლივიაში, იაპონიაში და პოლონეთში, ამჟამად მიწვეულია ბრაზილიაში.

ნ. როინიშვილი საერთაშორისო კონფერენციების — „კოსმოსური სხივები" მრავალგზის მონაწილეა.



ელენე მეტრეველი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი.

თანამშრომლობს ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის საფრანგეთის ცენტრთან, რომელიც სწავლობს და აქვეყნებს ათონის მონასტრების ბერძნულ აქტებს. ე. მეტრეველი მონაწილეობს ათონის ქართული მონასტრის ბერძნული აქტების გამოცემაში. გარდა ამისა, იგი თანამშრომლობს ლუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტთან.

საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამით (ბელგია-დასავლეთ გერმანია); ხელმძღვანელობს ხელნაწერთა ინსტიტუტში გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების გამოსაცემად მომზადებას.

იგი წევრია „იუნესკოსთან" არსებული ბალკანეთის და ხმელთაშუაზღვისპირეთის შესახებ არსებული წყაროების შემსწავლელი ორგანიზაციის „სიბალის" აღმოსავლურ ხელნაწერთა კომისიისა. ხელმძღვანელობს ბალკანეთის ქვეყნების ისტორიის ქართული წყაროების გამოვლენას და გამოსაცემად მომზადებას.

მისი წერილები იბეჭდება ბელგიისა და საფრანგეთის ორიენტალისტურ ჟურნალებში.



ელენე ობოლაშვილი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. რაზმაძის სეხელობის მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ი. ვეკუას სახელობის პრემიის ლაურეატი.

ე. ობოლაშვილს მჭიდრო კონტაქტები აქვს მ. ლუტერის სახელობის ჰალეს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის კომპლექსური ანალიზის კათედრასთან.

1976 წ. ჰალეს უნივერსიტეტის რექტორის მიწვევით იგი ორი თვის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა IV კურსის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. იმავე პერიოდში მოხსენებებით გამოდიოდა ლაიფციგისა და კარლ-მარქს შტატის უნივერსიტეტებში, აგრეთვე იყო ერთი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი; სხვადასხვა დროს მონაწილეობდა აშშ-ში, საფრანგეთში, პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში, ბულგარეთში სიმპოზიუმების თუ კონგრესის მუშაობაში. ამჟამად ემზადება ლექციების წასაკითხად იტალიაში (ტრიესტში), რომელიც 1988 წ. თებერვალში მოეწყობა თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელობით (იუნესკოს ინიციატივით).

ლ. ობოლაშვილის რვა შრომა გამოქვეყნებულია უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში.



ნინო ჯავახიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

არჩეულია საბჭოთა კავშირის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა (აჰე) სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, გერენტოლოგთა და გერიატრთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, თბილისის (აჰე) საზოგადოების თავმჯდომარედ. არჩეულია საპატიო წევრად: სსრკ, რსფსრ, ბულგარეთის, უნგრეთის (აჰე) საზოგადოებების, ჩეხოსლოვაკიის პურკინიეს სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებებისა.

ნ. ჯავახიშვილის გამოკვლევები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. მისი 200-ზე მეტი ნაშრომიდან 42 გამოქვეყნებულია უცხოეთში (ავსტრალია, აშშ, ბელგია, ბულგარეთი, გდრ, გფრ, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია).

ნ. ჯავახიშვილი სისტემატურად გამოდის მოხსენებებით საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. იგი მრავალი საკავშირო სამეცნიერო ყრილობის, კონფერენციის სიმპოზიუმის ორგანიზატორია.

## იგი იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

# მისი ცხოვრების მიზანი



იგი რაჭის მაზრის სოფელ ხოტევში დაიბადა, მდიდარი მებატონის, აზნაურ მიხეილ ჭიჭინაძის ოჯახში. მას უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა. სალი გონების გოგონას თავიდანვე სულს უხუთავდა გლეხების უმწეო მდგომარეობა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა.

მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ პროფესიონალი რევოლუციონერები — ალიოშა ჯაფარიძე, აბელ ენუქიძე, შამშე ლეჟავა (შემდეგში ელისაბედის მეუღლე), რომლებიც ცხარედ კამათობდნენ, კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურას, გაზეთებს, პროკლამაციებს, უკეთესი მერმისისათვის სახავდნენ გეგმებს. ამ საუბრების მოწმე იყო ელისაბედი. იგი მალე გაერკვა არსებული წესწყობილების სიავკარგეში და ცხოვრების მიზნად ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის გზა აირჩია. 1903 წელს ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. ელისაბედი მოხერხებულად ავრცელებდა პროკლამაციებს, ეწეოდა აგიტაციას სოფლებში, რაზმავდა მშრომელებს სამართლიანობისათვის საბრძოლველად.

1905 წლის აპრილში მეფის დამქაშებმა პეტერბურგიდან პოლიციის ზედამხედველობით შამშე ლეჟავა მშობლიურ სოფელ წყალისში გადმოასახლეს. მისი ხელმძღვანელობით რაჭაში ბოლშევიკური ორგანიზაცია დაარსდა და ბიუროს ერთ-ერთ წევრად ელისაბედ ჭიჭინაძე, პირველი რაჭველი რევოლუციონერი ქალი ერთხმად აირჩიეს.

ელისაბედი იმავე წელს წითელი დროშით მიუძღოდა პირველი მაისის დემონსტრაციის მონაწილეებს. დროშაზე მისივე ხელით იყო ამოქარგული: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ჭიჭინაძეების ბინაზე ეწყობოდა ფარული კრებები. იქვე ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა პროკლამაციები. სახლი საბრძოლო შტაბად გადააქციეს, რომელსაც შამშე ლეჟავა და ქიქია ჭიჭინაძე (ელისაბედის ძმა) ხელმძღვანელობდნენ. მათ გვერდით იყო ელისაბედიც.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წელს ელისაბედი და შამშე იძულებული გახდნენ მალულად საზღვარგარეთ გამგზავრებულიყვნენ. შამშემ სწავლა ვენის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე განაგრძო და ამავე დროს ემიგრანტ ბოლშევიკთა ჯგუფის მუშაობაში ჩაება. ელისაბედი კი მარქსისტული ლიტერატურის კითხვას ხარბად დაეწაფა.

ოთხი წელი დაჰყვეს ელისაბედმა და მისმა მეუღლემ ემიგრაციაში. 1910 წელს ელისაბედმა მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში ლევ ტოლსტოის დაკრძალვის დროს მოწყობილ დემონსტრაციაში, შემდეგ მშობლიურ რაჭას მიაშურა და გლეხებში ომის საწინააღმდეგო აგიტაცია გააჩაღა.

1917—1918 წლებში ელისაბედი და შამშე ფოთში ცხოვრობდნენ. შამშე ქირურგად მუშაობდა და თან ნავსადგურის მუშებს შორის პარტიულ მუშაობას ეწეოდა. ელისაბედი ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბიუროს წევრი იყო. იმ პერიოდში ცნობილი რევოლუციონერი-ბოლშევიკი კამო (არშაკ სიმონის ძე ტერ-პეტროსიანი) ფოთში პირადი დავალებით ჩამოვიდა. მას ბაქოს საბჭოში მიჰქონდა დიდი თანხა და ლენინის ხელმოწერილი მოწმობა სტეფანე შაუმიანის საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ. კამომ სამი დღე დაჰყო ფოთში, ელისაბედისა და შამშეს ბინაში. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ყველაფერი იღონა, რათა კამო უვნებლად გამოესტუმრებინათ.

ელისაბედს კვლავ მშობლიური რაჭისაკენ მოუწევდა გული, ჩავიდა კიდეც, მაგრამ მენშევიკების დევნის გამო იძულებული გახდა ქუთაისში გადასულიყო. აქ იგი პოლიტპატიმრებს დაუკავშირდა. მათ პოლიტიკურ ლიტერატურასა და საჭირო ცნობებს აწვდიდა, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა და დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ელისაბედი უდიდესი სიხარულით შეეგება. უმალ ახალი ცხოვრების შენების ფერხულში ჩადგა. წლების მანძილზე იყო აქტიური პარტიული და საზოგადოებრივი მუშაკი, თბილისის საბჭოს წევრი. დიდი დამსახურებისათვის იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ელისაბედ ჭიჭინაძე, საქართველოს რევოლუციური წარსულის ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი, 1974 წელს 82 წლისა გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იგი იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის



# იგი ლენინს შეხვდა

„მოსკოვში, ყრილობაზე გამგზავრებას აღფრთოვანებით შევხვდი. ჩემს შეგნებაში მოსკოვი განუყოფელი იყო ლენინისაგან. იყო მოსკოვში — ნიშნავს აისრულო ოცნება, ნახო ლენინი“, ასე იწყებს თავის მოგონებას ოლღა პლიევა, პარტიის წევრი 1920 წლიდან.

ო. პლიევამ, რომელიც პარტიის სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის ქალთა განყოფილებამ 1920 წლის სექტემბრის ბოლოს დელეგატად გაგზავნა მოსკოვში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა-ქალთა განყოფილების მიერ მოწვეულ თათბირზე, რამდენჯერმე ნახა ვ. ი. ლენინი, მოისმინა მისი გამოსვლები.

იმ დროს მოსკოვის ქალთა თათბირი დაემთხვა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას ბაქოში. ყრილობამ ლენინთან გასაგზავნ დელეგაციაში ო. პლიევაც შეიყვანა.

„მიღება რომ დამთავრდა, — განაგრძობს ო. პლიევა თავის მოგონებას, ლენინი ყველას გულთბილად დაგვემშვიდობა ხელის ჩამორთმევით. მის სახეზე კეთილი, ილიჩისეული ღიმილი ციალებდა. ჩვენ ილიჩისგან მოჯადოებულნი გამოვედით“.

ოლღა პლიევა 18 წლის ქალიშვილი იყო, როდესაც ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის პერიოდში გორში შექმნილ მოსწავლეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს, ხოლო როდესაც მენშევიკებმა 1919 წელს სამხრეთ ოსეთში დამსჯელი ექსპედიცია გააგზავნეს და მშრომელთა თავყრილობა მოიწვიეს, მან ვაჟკაცური გამბედაობით, სასტიკად ამხილა ექსპედიციის ნამდვილი მუხანათური მიზნები. მენშევიკების მიერ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს გარეკვის შემდეგ ო. პლიევას იქ აღარ დაედგომებოდა, თბილისში ჩამოვიდა და რკინიგზის ოსურ სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

1920 წელს, როცა მენშევიკებმა სამხრეთ ოსეთში ბოლშევიკური აჯანყება ჩაახშეს, ო. პლიევა იძულებული გახდა ვლადიკავკაზში გადასულიყო. იქ მუშაობდა სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილთა საბავშვო სახლებში, შემდეგ პარტიის ჩრდილო ოსეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად გადაიყვანეს მთიელ ქალთა შორის მუშაობის დარგში.

1921 წელი იყო. საქართველოში მენშევიკური მთავრობა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მთავრობის ასალაგმავად გადამწყვეტი აჯანყება იწყებოდა. წითელი არმიის იმ ნაწილების მხარდასაჭერად, რომლებიც საქართველოს მშრომელი ხალხის დასახმარებლად მოდიოდნენ, ვლადიკავკაზში სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბებას შეუდგა. ო. პლიევა პირველსავე რაზმში ჩაეწერა და 1921 წლის თებერვლის ბოლოს რაზმთან ერთად უღელტეხილით სამხრეთ ოსეთში გადმოვიდა. იგი რევოლუციური კომიტეტის მდივნად დაინიშნა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ო. პლიევას ოცნება აუსრულდა. მისმა მშობლიურმა მხარემ ახალი ცხოვრების შენება დაიწყო. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა იგი სასწავლებლად მოსკოვს, აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში გაგზავნა, აქედან კი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქნა გადაყვანილი, რომელიც 1925 წელს დაამთავრა.

ო. პლიევა მოსკოვში სწავლას კარგად უხამებდა საბჭოთა კავშირის კპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის სტატისტიკურ განყოფილებაში მუშაობას, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიონის სახალხო მოსამართლე იყო. მომდევნო წლებში სამხრეთ ოსეთში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც იუსტიციის სახალხო კომისარი და პროკურორი. 1930 წლის მიწურულს იგი თბილისში გადმოიყვანეს. სხვადასხვა დროს პარტიის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის, პარტიის თბილისის კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა. ბოლო წლებში სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი იყო (გარდაიცვალა 1967 წელს).

ო. პლიევა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა კომუნისტური პარტიის საქმეს. რომლის ერთგული შვილიც იგი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ნინო ჩირაძე



1917
1987
70

# მოსკოვური დღეები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 25-28 სექტემბერს მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ რესპუბლიკის დღეები. ეს თითქოსდა გაგრძელება იყო იმ დიდი საიუბილეო დათვალიერებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში რიგრიგობით მოაწყვეს მოკავშირე რესპუბლიკებმა. ისინი ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ დედაქალაქელთა წინაშე იმის თაობაზე, თუ რას მიაღწიეს შვიდი ათეული წლის მანძილზე, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების განვითარების რა საფეხურზე ავიდნენ.

საქართველოს დღეებმა დედაქალაქელთა და მის სტუმართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქვეყნის მთავარი გამოფენის მეოთხე პავილიონში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის



ექსპოზიცია იყო მოწყობილი. იმ დღეებში განსაკუთრებული ხალხმრავლობა იგრძნობოდა.

პრესკონფერენციაზე, რომელიც უშუალოდ დღეების გახსნის მერე მოეწყო, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა — რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა, აკადემიის პრეზიდენტმა ა. თავხელიძემ, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ, სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. კონცელიძემ, სოციალისტური შრომის გმირმა ჰ. აიბამ დამსწრეთ მრავალ შეკითხვაზე უპასუხეს.

წარმოება-დაწესებულებებში ეწყობოდა შეხვედრები დღეების მონაწილე ჯგუფებთან: ყოველ საღამოს იმართებოდა დიდი სახალხო სეირნობები, თეატრალიზებული წარმოდგენები. მოსკოველებს შესაძლებლობა მიეცათ დამტკბარიყვნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატთა, ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებით.

27 სექტემბერს დედაქალაქის რიგის ვაგზალთან გაიმართა ბაზრობა.

ეს მოსკოვური დღეები კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ ლენინური ეროვნული პოლიტიკის საბოლოო გამარჯვების, საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის და სიმტკიცის. ეს იყო ჩვენი მიღწევების ერთგვარი დემონსტრაცია.

18474





საქინფორმის ფოტოები

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ექსპონატები მოგვითხრობენ

# [illegible] ისტორია

ბათუმის რევოლუციის მუზეუმში შეხვდებით თმაშევერცხლილ, ტკბილად მოუბარ, ოთხმოც წელს მიღწეულ ქეთევან სვანიძეს. იგი თავად მოესწრო ზოგიერთ იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ასახულია მუზეუმის ექსპონატებში. 1925-1929 წლებში ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში მუშაობდა მასწავლებლად. მაშინ ქეთევანი 20 წლისაც არ იყო. შემდეგ ქედის რაიონში აჭარელ ქალთა შორის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მთის რაიონებში არ ულხინდათ მაშინდელ პედაგოგებს. მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ მოლებსა და ხოჯებს. ფეხმოკიდებული იყო ქალისადმი ბატონყმური დამოკიდებულება. წარსულის უკუღმართ გადმონაშთებთან ბრძოლა რთულიც იყო და სახიფათოც.

მუზეუმის ექსპონატებში გავეცანით ძველი რევოლუციონერის ალვასი თალაკვაძის მოგონებებს. აი რას წერს იგი: „ახლა მარტო ბათუმში სამიათასზე მეტი კომუნისტი ქალია. მაშინ (1925 წელს) მთელს აჭარაში პარტიის წევრებში, განსაკუთრებით ქალები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. გული მიკვდებოდა, ტანწერწეტა ელვარე თვალებიან ახალგაზრდებს ქუჩებში მონაზვნებივით თალხით შემოსილებს რომ დავინახავდი. მახსოვს, 1924 წელს მე და აჭარის ქალთა შორის აქტიური მოღვაწე ალთუნ შაშიკაშვილი ხულოში, სოფელ ძირკვაძეებში კაცებმა უჩადროდ რომ გვნახეს, ძაღლები დაგვადევნეს“. ასეთი იყო განთიადის ის პირველი დღეები.

ქალბატონი ქეთევანი გვაცნობს 1921 წლის 22 მარტით დათარიღებულ საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მოსალოც დეპეშას, რომელშიც ნათქვამია: „ძმებო და ამხანაგებო! აჭარის მუშებო და გლეხებო! ბოლო მოეღო თქვენს ტანჯვა-წამებას... ამ საზეიმო და დიდმნიშვნელოვან წუთს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა მთელი მსოფლიოს მუშების წინაშე საჯაროდ აცხადებს — დღეიდან აჭარა და აჭარის ხალხი სრულიად თავისუფალი იქნება. აჭარის ხალხს ენიჭება ავტონომიური მმართველობა საბჭოთა კონსტიტუციის ძალით“.

ვ. ი. ლენინი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარებით პირადად იყო დაინტერესებული. 1921 წლის მარტში პარტიის მეათე ყრილობის ტრიბუნიდან მან განაცხადა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთებში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთობსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთი ნავთობსადენი გაყვანილია ბათუმამდე, ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“.

ეს დოკუმენტი მუზეუმის თვალსაჩინო ადგილას არის მოთავსებული. მალე ასრულდა ლენინის ეს სიტყვები. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენისა და პირველი ხუთწლედის პირმშოს, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის საექსპლუატაციოდ გადაცემა საქართველოში ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის გამარჯვების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო.

ერთგან ხუთი ქალის ფოტოსურათია. ქალბატონი ქეთევანი სტენდთან ჩერდება. საუბარი უჭირს. მოგონებებში იძირება. მათ ერთად განვლეს საკმაოდ მძიმე, ნარ-ეკლიანი გზა. ესენი არიან აჭარის ქალთა შორის აქტიური მოღვაწეები: ა. შაშიკაშვილი, ა. თალაკვაძე, ნ. ჯიჯავაძე, ო. ბერაია, თ. წილოსანი. სურათი გადაღებულია 1924 წელს. შემოგყურებენ ენერგიით აღსავსე ახალგაზრდები. თავის დროზე მათ დიდი როლი შეასრულეს აჭარელ ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლაში: გახსნეს სკოლები, ჭრა-კერვის წრეები, ასობით ქალიშვილი გაგზავნეს სასწავლებლად.

მუზეუმის ფერწერულ ტილოებში გაცოცხლებულია აჭარის ისტორია: ბრძოლები ბათუმის ბარიკადებზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ბათუმში, ინგლისელ ოკუპანტთა მიერ პროფკავშირული ლიდერების დაპატიმრება.

მუზეუმის ფონდებში დაცულია უნიკალური ექსპონატები: 1917 წელს დასტამბული, ბათუმის კომუნისტების მიერ თარგმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი,“ ბათუმის ციხის პოლიტიკურ პატიმართა ხელბორკილები, საბეჭდი მანქანა, რომელზეც იბეჭდებოდა პროკლამაციები, ძველი საბრძოლო იარაღები და მრავალი სხვა ექსპონატი. ილიას საიუბილეო დღეებში მუზეუმის ერთი მხარე საქართველოს სულიერი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს დაეთმო. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ილიამ აჭარის აღორძინებისა და განათლების საქმეში.

მუზეუმში ყოველდღიურად ეწყობა თაობათა შეხვედრა, პარტიისა და კომკავშირის რიგებში საზეიმო მიღება, იდეოლოგიური ხასიათის მრავალფეროვანი ღონისძიებები.

მ. გორგილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამონაშვილი

# მამა ვარ!

უცნობმა ქალმა ტელეფონით დამირეკა და მთხოვა. მე და ჩემს ვაჟს საკონსულტაციოდ მოსვლა გვინდა, საქმე ბავშვს — ჩემს შვილიშვილს ეხებაო. მოვიდნენ, კარგახანს უხერხულად ისხდნენ. არ იცოდნენ, რით დაეწყოთ. მერე კი ერთმანეთს სიტყვას ართმევდნენ. ეკამათებოდნენ. ჩემი ყურადღება ვაჟმა. — პატარა გოგონას მამამ მიიპყრო. ამიტომ დიალოგში, (რომელიც. მათი წასვლისთანავე ჩავიწერე), მინდა თქვენც მამის პოზიციას გაადევნოთ თვალი.

— სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რა ეჩქარებოდა ცოლის შერთვა, ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, მაგრამ ვერაფრით ვერ გადავაფიქრებინე...

— დედა. ნუ ლაპარაკობ ასე...

— მაინც თავისი გაიტანეს, ჩუმად მოაწერეს ხელი და გაიპარნენ...

— დედა, ახლა რა მნიშვნელობა აქვს ამას...

— დიახაც აქვს. თავიდანვე ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო, საქმე აქამდე არ მივიდოდა, ასეა, როცა გატყუებენ...

— არავის არ მოვუტყუებივარ, დედა, რითი ვერ გაიგე, რომ მიყვარს ის ქალი, მიყვარს...

— გიყვარს... სხვაც შეგიყვარდებოდა.. ახლა კი, ხომ ხედავ, რა დღეში ვართ...

— ჯობია გამოვასწოროთ მდგომარეობა, ჩვენც ხომ ვართ დამნაშავე...

— მოეშვი იმ ქალს, აი, როგორ უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა, არ არის ის შენი ღირსი, არა!

— დედა!.. არ ვარგა ასეთი ლაპარაკი... რამდენჯერ უნდა აგიხსნა, ვერც ცოლს მივატოვებ და ვერც ბავშვს...

— ნუ მიატოვებ, ბატონო, ხომ ხედავ, აღარ გიბრუნდება და არც ბავშვს გაჩვენებს, შენს საწინააღმდეგოდ ზრდის... შენ მას არ უყვარხარ!...

რამდენიმე წუთს გაგრძელდა მათი ასეთი დაძაბული საუბარი. შემდეგ ორივეს ეუხერხულა, ერთმანეთს რომ ჩემი თანდასწრებით ედავებოდნენ და თავი შეიკავეს. ბოლოს ვაჟმა სცადა ჩემთვის ვითარება გაეცნო.

ოთხი წლის წინათ მოვაწერეთ ხელი... დიახ, ფარულად მოვაწერეთ, რადგან დედაჩემი წინააღმდეგი იყო...

— ვიმეორებ. იმიტომ ვიყავი წინააღმდეგი. რომ არ იყო ის შენი შესაფერი...

— საცხოვრებლად მეუღლესთან გადავედი...

— რა გაგიჭირდა ასეთი, ვინ გაგდებდა სახლიდან...

— დედა, მაცალე... მალე. ბავშვი შეგვეძინა, გოგონა. პირველ ხანებში ყველაფერი რიგზე იყო...

— არც მაშინ იყო ყველაფერი რიგზე...

— შემდეგ დედაჩემმა დაიჟინა: ჩვენთან წამოიყვანე ცოლ-შვილიო...

— დავიჟინე, აბა რა, გგონია ვერ ვხედავდი, როგორ უპატრონოდ იყავი იქ...

— მეც დედისერთა ვარ და ისიც. მისი მშობლებიც წუხდნენ... და აი, თავი იჩინა პირველმა გაუგებრობამ...

— მაგ გაუგებრობაში მე ბრალი არ მიმიძღვის, შენი ცოლისა და მისი მშობლების ბრალია...

— ბოლოს ცოლმა ბავშვი წაიყვანა და ისევ მშობლებთან გადავიდა...

— ჰოდა, იყოს ახლა თავის მშობლებთან, ოღონდ ვალდებულია ბავშვი გვაჩვენოს, თვეში ერთხელ მაინც...

აქ კი ვაჟმა მეტად თავაზიანად, მაგრამ მოჭრით თქვა:

— დედა, უნდა გაიგო, მე ბავშვიც მინდა და ცოლიც, უბავშვოდ სიცოცხლე არ შემიძლია...

— თქვენ უკვე გაყრილები ხართ, სასამართლომ გაგაქორწინათ...

— ძალიან ცუდია, რომ გავიყარეთ, არ უნდა გავყრილიყავით, უხდა შევურიგდე, ორივე მინდა, დედა, უნდა დავიბრუნო ცოლ-შვილი!

— არაფერი მოუვა ბავშვს, უშენოდაც გაიზრდება, ოღონდ ის კი ვალდებულია ბავშვი გვაჩვენოს, თვეში ერთხელ მაინც!..

გაფითრებული ვაჟი მომიბრუნდა და განაგრძო:

— იცით, რატომ მოვყევი დედაჩემს თქვენთან? მინდა დაარწმუნოთ, რომ ბავშვსაც დაეტყობა უჩემობა და მეც დამეტყობა, თუ ჩემი შვილი გვერდით არ მეყოლება... თავად მინდა გავზარდო შვილი, მამა ვარ, არ შემიძლია, რომ ჩემი გოგონა ქალაქის ერთ კუთხეში ცხოვრობდეს, მე კი — მეორეში...

„მამა ვარ!“ — ამ სიტყვებმა განსაკუთრებით შემძრა, „დედა ვარო“ ქალმა რომ თქვას, არ გაგიკვირდება. ყველაფერი გასაგებია — დედაა, ეს არის და ეს! აქ კი ვაჟი ამბობს. „მამა ვარო“ და გამიგეთ, შვილი თავად მინდა გავზარდოო. იგი სულაც არ ჰგავდა მამებს, რომლებიც შვილებს ემალებიან. პირიქით, მზად იყო ბოდიში მოეხადა მეუღლისათვის იმ გაუგებრობათა გამო, რაც მათს ცხოვრებაში მოხდა, ოღონდაც აღედგინა ოჯახი, დაებრუნებინა მამობის ბედნიერება.

იცით. კიდევ რამ მიიპყრო ჩემი ყურადღება ამ დიალოგში? „მეც დამეტყობა, თუ ჩემი შვილი გვერდით არ მეყოლებაო“. აქ მე ასეთი აზრი გამიჩნდა, არა მარტო მშობლები ზრდიან შვილებს, შვილებიც ზრდიან თავიანთ მშობლებს, სამი წლის კუდრაჭა გოგონასაც შეუძლია გაზარდოს მამა, უფრო გააკეთილშობილოს, კაცურკაცად აქციოს.

არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი, ან რამდენად გავუცრუე იმედი ახალგაზრდა მამის დედას მაშინ, როცა ვაჟს ვუთხარი:

— აი რას გირჩევთ: ვხედავ, მანქანის გასაღები გიჭირავთ ხელში, ახლავე წადით თქვენს მეუღლესთან და მეორედ მოიტაცეთ იგი, ბავშვიანად მოიტაცეთ. თორემ ხვალ დაგაგვიანდებათ შვილის გაზრდა... ახლავე! არ დაფიქრდეთ!

ახალგაზრდა მამას თვალები გაუბრწყინდა.

— წავალ, დიახ, ახლავე წავალ, მართალს ბრძანებთ, მერე დაგვიანდება! — წამოიძახა გახარებულმა, დედას ხელი მოხვია და შეეხვეწა, — დედა, რაღა ამხანაგები გავიყოლო, წამომყევი, ერთად მოვიტაცოთ... გთხოვ, გადაწყვიტე!

რამდენიმე დღის შემდეგ ტელეფონით შევიტყვე, რომ ოჯახი შერიგდა, მამამ მამობა გააგრძელა და ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდა.

აქა-იქ ალბათ იქნებიან მამები, რომლებიც ქალაქისა თუ სოფლის ერთ კუთხეში ცხოვრობენ, შვილები კი — მეორეში. იქნებ ამ მაგალითმა გაუღვიძოს მათ მამობის დაჩლუნგებული გრძნობა. ისინიც დაუფიქრდნენ, უხმონ გონებას, ნუ მიატოვებენ თავის სისხლსა და ხორცს, მიეფერონ, გაახარონ. გაიხარონ შვილებით და მთელი სიამაყით და პასუხისმგებლობით თქვან: „მამა ვარ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალში გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1987 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „კომუნისტური შრომის საწარმო“, რომელშიც ლაპარაკი იყო მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშაობაზე.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხიჯაკიძე რედაქციასატყობინებს, რომ ყველაფერს იღონებენ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ფაბრიკაში მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომწოდებელი ორგანიზაციებიდან ნედლეულის მოწოდება და ხარისხი; გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო მომსახურება, სასურსათო მაღაზიის ბოსტნეულით მომარაგება, სასადილოში შეიცვალა მზარეული და ამჟამად გემრიელი კერძები მზადდება.

## რედაქციას შპასუხებენ:

საქართველოს სსრ „სახაგრომრეწვკომიტეტის“ ლილოს ხილბოსტნეულის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კომბინატის დირექტორი გვაცნობებს.

„თქვენი ჟურნალის 1987 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული შენიშვნა „ვისი ბრალია“, რომელშიც მხილებულია თბილხილბოსტანვაჭრობის № 102 მაღაზიაში უხარისხო კარტოფილით ვაჭრობის ფაქტი. კომბინატის ხელმძღვანელობას კონტროლზე ჰყავს აყვანილი კომბინატიდან სავაჭრო ქსელში გასული პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა. იმისათვის, რომ სავაჭრო ქსელში არ მოხვდეს უხარისხო პროდუქცია, სისტემატურად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირისა და დახლის მუშაკთა უპასუხისმგებლობის შედეგად ზოგჯერ მაინც აქვს ადგილი მაღაზიებში უხარისხო პროდუქციით ვაჭრობის ფაქტს, რაზედაც უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება თბილხილბოსტანვაჭრობისა და მისი საცალო ვაჭრობის ქსელს. იმისათვის, რომ ლილოს კომბინატიდან არ ექნეს ადგილი მაღაზიებში უხარისხო პროდუქციის მიწოდებას, კომბინატის ხელმძღვანელობის მიერ გატარდა კონკრეტული ღონისძიება — ლილოს კომბინატში თითქმის მთლიანად შეიცვალნენ მატერიალური პასუხისმგებელი პირები და საქონელმცოდნეები. ვიმედოვნებთ, რომ მსგავს ფაქტებს შემდგომში არ ექნება ადგილი.

### „ვითომ უმაღლესი ხარისხისაა“?!

ამ სათაურით ჟურნალ „საქართველოს ქალში“ 1987 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რის თაობაზე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისროს თბილისის მაკარონის ფაბრიკის დირექტორი ო. შარაბიძე გვატყობინებს:

ფაბრიკის კოლექტივმა იმსჯელა წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ.

— მართალია, კონკრეტული დამნაშავის დადგენა ამჟამად შეუძლებელია, მაგრამ დაფასოების უბნის უფროსსა და ბრიგადირს გამოეცხადა საყვედური. მაკარონის ყუთის დაჭუჭყიანება რომ არ განმეორდეს, ამ უბნებზე მომუშავე პერსონალი მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

მაკარონი რომ უხარისხოა, ეს სინამდვილეა. კარგახანია ფაბრიკა მუშაობს მოძველებული მანქანა-დანადგარებით, უმნიშვნელო რაოდენობით გვაწვდიან მაკარონის დასამზადებელ სპეციალურ ფქვილს.

ფაბრიკაში მაკარონის ხარისხის გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების კაპიტალური რემონტი. დამონტაჟების პროცესშია მაკარონის ახალი სახეობის გამომშვები მანქანა „სალომკა“.

საქართველოს სსრ პურკომპროდუქტების სამინისტროში დასმულია საკითხი, რათა წისქვილ-კომბინატებმა დროულად მოგვაწოდონ მაკარონის დასამზადებელი სპეციალური ფქვილი.

1988 წლიდან გათვალისწინებულია ახალი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც დამონტაჟებული იქნება უახლესი მანქანა-დანადგარებით. ფაბრიკის კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა გააუმჯობესოს მაკარონის ხარისხი.



# კალათბურთის სასახლე

აქ ოდესღაც დიდი კალათბურთელები თამაშობდნენ: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია და მათი ღირსეული თანამებრძოლები. ის დრო ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ დარჩა თითქმის ლეგენდით მოსილი სასიამოვნო მოგონება.

და აი, ორმოცი წლის შემდეგ, აქვე, კიროვის სახელობის პარკში კალათბურთის სასახლე გაიხსნა. ამიერიდან იგი ჩვენი ნორჩი კალათბურთელების „ნავთსაყუდელი“ იქნება. ლამაზი იყო სასახლის გახსნისადმი მიძღვნილი ეს დღე — ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ნამდვილი დღესასწაული! ვის არ შეხვდებოდით აქ — ახალგაზრდა კალათბურთელებს, ხვალინდელი დღის იმედებს და ვეტერანებს, რომელთაც ასე ასახელეს ქართული სპორტი. ნორჩმა სპორტსმენებმა მადლობა გადაუხადეს ყველა მათ, ვინც იზრუნა ასეთი ჩინებული საჩუქრის მომზადებისათვის და იმისათვის, რომ საქართველოს ხვალაც ჰყავდეს ღირსეული სპორტსმენები.

სპორტულ დღესასწაულს ჩვეულებრივ შეჯიბრება აგვირგვინებს ხოლმე და როდესაც მოედანზე გამოვიდნენ თბილისისა და მოსკოვის ვეტერანი კალათბურთელები, რომელთაც თავიანთი ოსტატობით მოხიბლეს მაყურებლები, ერთი რამ გავიფიქრეთ: აი, ამ ვირტუოზების მაგალითზე იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა, და ვირწმუნეთ, რომ კვლავაც გვეყოლება ახალი ოთარ ქორქია, ახალი ნოდარ ჯორჯიკია, დიახ, ვირწმუნეთ, რომ ახალგაზრდა კალათბურთელები ღირსეულად დაიცავენ რესპუბლიკის სახელს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გ. გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „რა დავარქვათ ასეთ ნაწარმს“?!

ამ სათაურით ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1987 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რის თაობაზეც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საკონსერვო მრეწველობის სამმართველოს უფროსი გ. კიკნაველიძე გვატყობინებს:

— კრიტიკული შენიშვნა, რომელიც საკონსერვო ქარხნებში გამოშვებულ ეკალას უხარისხობას შეეხება სამართლიანია.

მართლაც, ნედლეულის ხარისხისა და ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისადმი საწარმოთა მუშაკების უყურადღებობის შედეგად ეკალას პროდუქციის ზოგიერთი პარტია დაბალი ხარისხისაა, ხასიათდება შეცვლილი ფერით, შეიცავს უხეშ და ზოგჯერ ჩახარშულ ყლორტებს.

ეს საკითხი ჯერ კიდევ ჟურნალში გამოქვეყნებამდე განვიხილეთ. საკონსერვო მრეწველობის სამმართველოში. გატარდა შესაბამისი ღონისძიება, კერძოდ: გეგეჭკორის საკონსერვო ქარხნის საამქროს უფროსს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მთავარ ინჟინერს საყვედური.

ანალოგიური და სხვა დარღვევებისათვის დაისაჯნენ ხობის საკონსერვო ქარხნის სპეციალისტები და ხელმძღვანელები.

წლეულს საკონსერვო საწარმოებმა გადაამუშავეს ორას ტონამდე ეკალა. თუ ქარხანაში ჩატარებული შემოწმების შედეგად ვიმსჯელებთ, წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გამოსწორებულია და ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე წელს გამოშვებული ეკალას კონსერვი ხარისხიანი და მომხმარებლისათვის უფრო მოსაწონი იქნება...




გავხდები დინამოელი,
მამიკოც ამას მოელის



1 2 3 4

# სილამაზე და მავნე ჩვევები

რომელ ქალს არ სურს დიდხანს შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და სილამაზე. ამის მიღწევა არ გაგიძნელდებათ, თუ შინაც და სამსახურშიც ნიადაგ გეხსომებათ ქცევის ზოგიერთი წესი. უპირველესად უარი უნდა თქვათ მავნე ჩვევებზე, რომლებიც ცუდად მოქმედებს გარეგნობაზე. სამუშაოდან რომ დაბრუნდებით, მით უფრო მაშინ, თუ იქ მთელი დღე ჯდომა ან ფეხზე დგომა გიწევთ, აუცილებლად წამოწექით 15-20 წუთით, და ფეხებქვეშ ბალიში ან მუთაქა ამოიდეთ. ეს სისხლის მიმოქცევასაც გააუმჯობესებს და ფეხებსაც დაასვენებს.

ეცადეთ როგორმე გადაეჩვიოთ ბევრისათვის საყვარელ პოზას – გულხელდაკრეფილ, თავდახრილ ჯდომას (1). ეს პოზა გულმკერდის დეფორმაციას იწვევს – მკერდი ჩავარდება, კისრის კუნთები მოეშვება. მუშაობის დროს შეეცადეთ ნიკაპი კისრის სიმაღლეზე გქონდეთ. დღეში რამდენჯერმე კი ასეთი ვარჯიში გააკეთეთ: აწიეთ ნიკაპი და ამ მდგომარეობაში მყოფმა ყელი ხან მარჯვნივ გადახარეთ, ხან მარცხნივ და ეს ისე გააკეთეთ, თითქოს რაიმე წინააღმდეგობის გადალახვა გჭირდებათ (2). ამავე პოზაში, დღეში რამდენჯერმე გაიკეთეთ ყელის მსუბუქი მასაჟი: ყელზე ზემოდან ქვევით ჩამოისვით ხელისგულები (3). ეს თვითმასაჟი ამაღლებს ტონუსს, ელასტიურს ხდის კისრის კუნთებს და ხელს უშლის ნაადრევი ნაოჭების გაჩენას.

ნუ დაჯდებით იდაყვდაყრდნობილი ლექციაზე, კინოში, თეატრში, ტელევიზორის წინ (4) – ეს თვალის ირგვლივ „ბატისფეხურ“ ნაოჭებს აჩენს. თვალები რომ არ მოჭუტოთ და ნაოჭები არ გაგიჩნდეთ, მზიან ამინდში მუქი სათვალე ატარეთ.

ბევრ ქალს ჩვევად აქვს დაწოლის წინ მკვებავი კრემის წასმა და ისე დაძინება. ეს ძალიან ცუდი ჩვევაა: კრემის სქელი ფენა კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. მკვებავი კრემი ძალიან თხლად უნდა წაისვათ, 20 წუთის შემდეგ კი მისი ნარჩენები ქაღალდის რბილი ხელსაწმენდით ან პირსახოცით მოიცილოთ.

ძალიან ცუდია დილით, თვალის ახელისთანავე ფეხზე წამოვარდნა. რომ გაიღვიძებთ, ორი-სამი სუნთქვითი ვარჯიში შეასრულეთ, შემდეგ წამოჯექით და მხოლოდ ამის მერე ადექით.

თვალყური ადევნეთ საკუთარ სიარულს, მიხვრამოხრას. ნუ მოადუნებთ სხეულს, ნუ ივლით თავდახრილი – ეს კუნთებს ადუნებს, ყელზე ნაოჭებს აჩენს, ორგანიზმის საერთო ტონუსს აქვეითებს და ამის გამო სახე დაღვრემილ გამომეტყველებას იძენს. სხარტი სიარული ჯანმრთელობისათვისაც კარგია და ლამაზიც არის, რასაც არ უნდა აკეთებდეთ – ზიხართ თუ დგახართ, კუნთები ნიადაგ დაჭიმული უნდა გქონდეთ, მუცელი შეზნექილი, მხრები გადაშლილი.

გრაციისა და ბიუსტჰალტერის ტარება აუცილებელია, მაგრამ როცა ესენი ტანზე მოსხეპილი გაქვთ, ნორმალური სისხლის მიმოქცევა ირღვევა, ამიტომ ვარჯიშის დროს უთუოდ უნდა გაიხადოთ. ძალიან კარგი იქნება, თუ შეარჩევთ მკერდისა და მუცლის კუნთების გასამაგრებელ სპეციალურ ვარჯიშებს.

ასევე ცუდად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე წინდებზე მოჭერილი რეზინიც. მუდამ ერთ ხელში მძიმე საოჯახო ჩანთის ტარება ხერხემლის გამრუდებას და მხრის სარტყლის ასიმეტრიას იწვევს.

მიზნად დაისახეთ ზოგიერთი მავნე ჩვევის დავიწყება და სულ მალე დარწმუნდებით, რა სასიკეთო გავლენას მოახდენს ეს თქვენს გარეგნობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ დავაშინებთ ბავშვებს!

შიში მრავალნაირია, მას როგორც ფიზიოლოგიური, ისე სოციალური, და, უარეს შემთხვევაში, ავადმყოფური მიზეზები განაპირობებს. ავადმყოფური შიში ხშირ შემთხვევაში ფსიქოპათიური ბუნებისაა და მედიცინაში მას, ფიზიოლოგიური შიშისაგან განსხვავებით, შიშებს უწოდებენ. მიუხედავად მათი მსგავსებისა შიში ნორმალური ფსიქიკის კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო შიშები ყოველთვის ფსიქოპათიური ხასიათისაა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად ისმება კითხვა, საჭიროა თუ არა ბავშვებში გარკვეული დოზით აღვძრათ შიშის გრძნობა. ყოველმხრივ დამაჯერებელი პასუხის გაცემა მავანთათვის არც თუ ისე იოლია, რადგან ამ გრძნობის საჭიროების შესახებ შეიძლება რუსთაველიც კი მოიშველიონ: შიში შეიქმს სიყვარულსაო, და არ გაითვალისწინონ, თუ რა სიტუაციისათვის თქვა ეს პოეტმა. აქ ლაპარაკია მტერზე და არა მოკეთეზე, მითუმეტეს, ბავშვებზე. რუსთაველმა ისიც გასაგებად გვითხრა; შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო, ე. ი. შიში ზედმეტი ბარგიაო.

არამც და არამც ბავშვებს არავისი და არაფრისა არ უნდა ეშინოდეთ, შიშის ნაცვლად ბავშვში უნდა აღიზარდოს შეგნებული რიდის, კრძალვისა თუ სიფრთხილისათვის საჭირო გრძნობები, სახიფათო და საზიანო მოვლენებისადმი გონივრული დამოკიდებულება. ეს არის ჯანმრთელობისა თუ სხვა სოციალური კეთილდღეობის ერთადერთი საიმედო საწინდარი.

შიშის გამოწვევა პატარების ფსიქიკაში უხეში, ამასთან იოლი და არაპედაგოგიური მეთოდია. შიშზე დამყარებული „სიყვარული" ხშირად რელიგიური რწმენიდან იღებს სათავეს. ამგვარი მეთოდი უაღრესად მავნეა და მზაკვრული. რელიგიურ შიშს, რომელსაც არავითარი რეალური საფუძვლები არ გააჩნია, შეუძლია ბავშვი მოწყვიტოს თანამედროვეობას და მართლაც გახადოს „ღვთის მოშიში".

ხშირად უფროსები ათასგვარი მონაგონებით მოძღვრავენ ბავშვებს, რათა დამჯერნი და მორჩილნი იყვნენ. ალები, ქაჯები, ეშმაკები, კუდიანები და კიდევ ვინ იცის, სად რა საფრთხობელა არ შექმნეს ცრუპენტელა აღმზრდელებმა. ეშმაკ-ჯადოქართა და მსგავსთა ნიღბების შიშით ისე ძაბუნდებიან პატარები, რომ დღისით, მზისითაც კი საფრთხის მოლოდინში არიან და აძრწუნებთ მარტოობა. ზოგჯერ მათ უვითარდებათ აკვიატებული ღამის შიშები. ამგვარი შიში თუ შიშები ადამიანს შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვეს და საზოგადოების არასრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს, თუკი დროზე არ მოხდა გაბზარული ფსიქიკის მედიკო-პედაგოგიური რეაბილიტაცია.

შიში დამღუპველად მოქმედებს გულის სხვადასხვა უკმარობის დროს, ხოლო ძლიერი, ელდისებური ანუ ფსიქოგენური შიში, არა თუ ბავშვებში, მოზრდილებშიც კი ანადგურებს თავის ტვინის სამეტყველო ფუნქციის მატარებელ ველებს და რაც უფრო სუსტია ეს ველები, მით უფრო ადვილად გამოდის მწყობრიდან.

შეშინებულ ადამიანს ენა ებმის, უპირველეს ყოვლისა, ველარ ახერხებს ხმის ამოღებას. არაიშვიათად, გარკვეული დროის მანძილზე, ყალიბდება მუტიზმი ანუ სიმუნჯე. გავიხსენოთ თუნდაც ქაჯანას მაგალითი.

ნათქვამი — შიშისგან გული გაუსკდაო, სიღრმისეულად ასახავს მატრამვირებელი ზემოქმედების განუსაზღვრელ ძალას. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ დაშინებისა და ყვირილის გამო პატარებს გულის მანკიც კი უვითარდებათ.

ბავშვის მეტყველების მრავალ დარღვევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ლოგოფობიას, ანუ მეტყველების შიშს. მას ყოველთვის თან სდევს ძლიერი ეჭვი, — ვაითუ, ვერა ვთქვა როგორც საჭიროა, ვაი თუ, დამცინონ, შემარცხვინონ და ასე ამგვარად, მაგრდება წარმოთქმის ანუ მოტორული მეტყველების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. ბავშვი ერიდება საუბარს, უყალიბდება ჟინიანობა, ურჩობა; მისთვის სკოლა და საერთოდ სამეტყველო გარემო ხდება კონფლიქტური. ლოგოფობიის მიზეზი ხშირად ძნელი დასადგენია, საჭიროა ყოველმხრივი გამოკვლევა. მაგ. ერთი მესამეკლასელი ბავშვი, რომელიც სკოლაში საერთოდ არ იღებდა ხმას (სამეტყველო ნეგატივიზმი), როგორც გამოირკვა, დაავადდა არცთუ ისე მძაფრად გამაღიზიანებელი სიტყვის ზემოქმედებით.

სამეტყველო შიშები ყველაზე ადვილად ვლინდება ენაბორძიკობის (ლოგონევროზი) დროს. მას აქვს როგორც კონკრეტულ-სიტუაციური, ისე ზოგადი თვისებებიც. თვით ლოგონევროზი კი მშობელთა ღრმა რწმენით, თურმე წარმოიქმნება შიშის შემდეგ.

გარდა მეტყველებისა შეიძლება იყოს წერის (გრაფოფობია), კითხვის და ა. შ. შიშები. სამეტყველო ნეგატივიზმი მეტყველების ყოველგვარ ფორმაში ვლინდება. „ვაითუ"... ყველგან იჩენს თავს.

სამეტყველო შიშებს ხშირად კიდევ უფრო აძლიერებს აღმზრდელთა არაპედაგოგიური მოთხოვნები: ძალდატანება, ცივგულობა, გადაჭარბებული ჩივილი და სიბრალული. ზოგჯერ სამეტყველო შიშები მიაჩნიათ უბრალო სირცხვილის გამოხატულებად. შიშები არ უნდა აგვერიოს აუდიტორიის წინაშე ღელვისა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან, თუმცა მასშიც არის მსგავსი ელემენტები, მაგრამ მსგავსება მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ბავშვი რაიმე შემთხვევამ რომ არ შეაშინოს, მაგრამ მიუტევებელია განგებ, მიზნობრივად დაშინება. უფროსმა ბავშვებმა ხშირად იციან უმცროსების „გამოცდა", ჩასაფრებით ან მიპარვით თითქოს და თამაშის გამართვა, რაც ზოგჯერ მწვავე შედეგით მთავრდება.

ბავშვი „ბამბებში" არ უნდა გაიზარდოს, რადგან „არის ჭირშიგან საბრალო ვინაც სათუთად ზრდილია". ამიტომ იგი თანდათან, ობიექტივაციის გზით უნდა შევაჩვიოთ გაუმართლებელი შიშის დაძლევას, მაგრამ არა რისკის ფაქტორით. ფსიქიკური წრთობა მოითხოვს ზომიერ ადაპტაციას.

მართალია, აღმზრდელი მარტო ალერსით ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს, საჭიროა სამართლიანი სიმკაცრეც, მაგრამ იგულისხმება ასაკთან შესაბამისი მომთხოვნელობა, ბავშვის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობა, მისი ინდივიდუალური მონაცემები.

როცა აღმზრდელი ხელში ჯოხს იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას პედაგოგიური ალღო და ძალა აკლია.

რაკი შიშისა და შიშების თავიდან არიდება ყოველთვის მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული და მის აღძვრას მრავალი ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორიც განაპირობებს, ასეთ შემთხვევებში საჭიროა მივმართოთ ექიმს, გამოცდილ პედაგოგს, რათა დროზე ვიხსნათ ბავშვი მძიმე განსაცდელისაგან. მართალია, „შიშს დიდი თვალები აქვს", მაგრამ მაინც ბრმაა და ამიტომ, ნუ დავაშინებთ ბავშვებს, ვისწავლოთ ჯანსაღი ფსიქიკის ბავშვთა აღზრდის ხელოვნება.

სანდრო შაიშმელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვი რომ ჯანმრთელი დაიბადოს

# უარყავით სასმელი

ერთმა კარგმა ნაცნობმა დამირეკა; — ჩემი შვილიშვილი ძალიან ცუდად ლაპარაკობს და თუ არ დამზარდები, ნახე, ბავშვს დედამისი მოიყვანსო.

დედა-შვილი დანიშნულ დროზე მოვიდა.

გულდასმით შევამოწმე ბავშვი, იგი გონებრივად ჩამორჩენილი აღმოჩნდა. ბავშვის დედისთვის არ დამიმალავს, რომ გონებაჩლუნგობა იყო ბავშვის მეტყველების განუვითარებლობის მიზეზი.

— რატომ დავისაჯეთ ასე, — აღმოხდა ქალს. — არც ჩემი მეუღლის, არც ჩემს გვარში გონებრივად ჩამორჩენილები არა გვყოლია...

მომაგონდა ის ქორწილი, რომლის დედოფალიც ახლა ჩემს წინ იჯდა. იგი ნეფესთან ერთად, სასმისს სასმისზე სცლიდა...

ხშირად დღევანდელ ქორწილებში ნეფე-დედოფლები სტუმრების თანაბრად სვამენ სასმელს, რაც შემდეგ საერთო უბედურების მიზეზი ხდება ხოლმე. — იბადებიან გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები.

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ ნეფეს ღვინო არ უნდა დაელია. მასზე ერთგვარი „ტაბუ“ იყო დადებული, დედოფლების შესახებ საერთოდ ამ საკითხზე არც ლაპარაკობდნენ, რომელი დედოფალი იკადრებდა სასმელის დალევას!

ნეფე-დედოფალის მიერ ღვინის სმა დღეს, სამწუხაროდ, რატომღაც „მაღალ ტონად“ ითვლება.

ჩვენ ძალიან განათლებული, ნაკითხი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ მათ უბრალოდ არ იციან, რომ ალკოჰოლიანმა სასმელმა შეიძლება მეტად უკუღმართად შეაბრუნოს მათთვის ყველაზე ახლობელი, მომავალი ადამიანის ბედი; საუბედუროდ ერთ ჭიქა ღვინოსაც კი დიდი უბედურების მოტანა შეუძლია, როგორც მშობლებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

ლოთობის, როგორც მავნე გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა უძველესი დროიდან მომდინარეობს. მოწინავე ქართველ საზოგადოებასაც კარგად ესმოდა მომავალ თაობაზე ლოთობის დამღუპველი გავლენა.

გ. წყალტუბოელი (გიორგი იოსელიანი) წერილში „ქართველი კაცი და ლოთობა“ დაწვრილებით აღწერდა რა ლოთობის დამღუპველ გავლენას მომავალ თაობაზე, აღნიშნავდა: „ხშირად მოხდება, რომ ქართველი ადამიანი იმ დროს ჩაისახოს, როცა მამა მთვრალია და მაშასადამე, არანორმალურ მდგომარეობაშია. ასეთ დროს და ამ მდგომარეობაში ჩასახული ადამიანი, ცხადია სალი ვერ გამოვა, აღორძინებისა და წამოზრდის შემდეგ ყმაწვილს ცხადად ემჩნევა სხვადასხვა სულიერი ნაკლულევანება. ეს ნაკლულევანება ზოგჯერ იმ ზომამდე მიაღწევს, რომ ზოგი ჩვენი ყმაწვილები „იდიოტებს“ მოგვაგონებენ. ამას ყველა ადვილად შენიშნავდა, ვინც ქართველი ყმაწვილების მასწავლებლად ყოფილა და დაკვირვებია მათს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ცხადია, მშობლის ტვინისა და ნერვების არანორმალური მდგომარეობა ახლად ჩასახული არსების სხეულშიც გადადის და შობის შემდეგ იჩენს თავს. ეს სამწუხარო მოვლენა, ყველა დამეთანხმება, დიდი ყურადღების ღირსია, რადგანაც მას ლოთობისაგან წარმომდგარ ზარალზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის გონებრივზნეობრივი წარმატებისათვის“. (სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, მარტი 1912 წელი).

გ. წყალტუბოელის წერილში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ბავშვი შეიძლება იმ დროს ჩაისახოს, როცა მამა მთვრალია და არანორმალურ მდგომარეობაში. ჩვენს სინამდვილეში კი საუბედუროდ, როგორც წერილის დასაწყისში იყო აღნიშნული, ზოგიერთი ქალი მამაკაცების მხარდამხარ მიირთმევს სასმელს.

ისე არ გავიგოთ, თითქოს გონებრივი ჩამორჩენა მხოლოდ და მხოლოდ ალკოჰოლის შედეგს წარმოადგენდეს. აქვე შეგახსენებთ, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე: ვენერიული დაავადებანი, ნარკომანია, მშობიარობის დროინდელი ტრამვები, დედის მიერ ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში გადატანილი სხვადასხვა ინფექციური დაავადებანი, მაგრამ გონებრივი ჩამორჩენილობის მიზეზი პირველ რიგში მაინც ალკოჰოლია.

უარყავით სასმელი!

**ალბერტ ქელბაქიანი,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მედიცინა

## რამდენიმე სასარგებლო რჩევა

კანის სოკოვან დაავადებათა შორის ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია ტერფების მიკოზები. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და მათ შორის საბჭოთა კავშირში მისი ძირითადი გამომწვევია წითელი ტრიქოფიტონი. ეს პარაზიტი სოკო მეტად გამძლეა, ძლიერი კონტაგიოზურობის გამო ადვილად ვრცელდება და დაავადების ქრონიკულ მიმდინარეობას იწვევს. პერიოდულად, განსაკუთრებით ზაფხულში პროცესი მწვავდება, კანზე ბუშტუკოვანი გამონაყარი და ფეხის თითებს შორის ნაოჭებში ნაპრალები ჩნდება, საიდანაც, ქავილის შედეგად, შეიძლება ინფექცია შეიჭრეს და სოკოვანი დაავადება მეორადი ჩირქოვანი პროცესით გართულდეს. სოკოვანი ინფექცია ლიმფური სადინარებისა და სისხლის გზით შეიძლება ორგანიზმში მოიფანტოს და, უწინარეს ყოვლისა, საზარდულის ნაოჭებში კანის დაზიანება გამოიწვიოს. ამ დროს ვითარდება კანის შეწითლება. აქერცვლა და ქავილი; ამიტომ ტერფებზე და ნაოჭებში რაიმე ცვლილებების შემჩნევისთანავე ავადმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს.

იმის გამო, რომ ინფექციის ძირითად წყაროდ ავადმყოფი და მისგან გაჭუჭყიანებული საგნები ითვლება, აბანოებით, საშხაპეებით და საცურაო აუზებით სარგებლობისას, ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ინდივიდუალური ჩუსტების ხმარება, პროფილაქტიკური ფხვნილის მოყრა, 1 პროცენტიანი იოდის ან კასტელანის ხსნარის წასმა.

კანში სოკოვანი ინფექციის შეჭრას და მის გამწვავებას ხელს უწყობს ოფლიანობა, ამიტომ საჭიროა ფეხების მუდმივი მოვლა, ყოველდღე ბანა და ოფლის საწინააღმდეგო საშუალებების, მოსაყრელი ფხვნილების ან „თეიმუროვის“ პასტის გამოყენება.

ჭარბოფლიანობისას ფეხებისათვის საჭიროა ყოველდღიური გრილი წყლის აბაზანები. წყალში უნდა ჩაუმატოთ სუფრის მარილი ან კალენდული. შეგიძლიათ მათ მაგიერ იხმაროთ მანგანმჟავა კალიუმის ვარდისფერი ხსნარი ან მუხის ქერქის ნახარში. ფეხის დაბანის შემდეგ შეიძლება კანში სალიცილის ან ბორის სიმჟავის 1-2 პროცენტიანი ხსნარი შეიზილოთ. დილით წინდების ჩაცმის წინ ფეხის თითებს შორის პუდრისა და ბორის სიმჟავის ნარევი უნდა მოიყაროთ, ან ლოსიონი „ფინიშ“-ით გაისუფთავოთ. ბანაობის შემდეგ აუცილებელია ფეხის თითებს შორის კანის კარგად გამშრალება, რადგან სოკო სინესტეში ადვილად მრავლდება.

**ლუბა შეწირული,**
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზეთით და ძმრით მომზადებული წიწაკა

მასალა: 5 კილო ბულგარული წიწაკა (წითელი ან მწვანე, თქვენი სურვილის მიხედვით), 400 გრ. ნიორი, 1 დიდი კონა ოხრახუში (500 გრ), 250 გრ მარილი, 250 გრ შაქარი, 10 ცალი დაფნის ფოთოლი, 1 სუფრის კოვზი შავი პილპილი (მარცვალი), 1 ლიტრი ძმარი, 1 ბოთლი ზეთი, ნახევარი ლიტრი წყალი.

## მომზადების წესი:

გარეცხეთ, ყუნწი და თესლი მოაშორეთ წიწაკას (ისე რომ არ დაამტვრიოთ); გარეცხილი და კარგად დაწრეტილი ოხრახუში წვრილად დაჭერით, ნიორი კი — ბრტყლად, აურიეთ ერთმანეთში და დადგით ცალკე.

ძმარი, წყალი, ზეთი, მარილი, შაქარი, დაფნის ფოთოლი და შავი პილპილი მოათავსეთ დაბალ, ბრტყელძირიან ქვაბში ან დიდ სამურაბე ტაშტზე, შედგით ცეცხლზე და ადუღებიდან 10 წუთის შემდეგ ჩაალაგეთ წიწაკები ისე, რომ მოიფინოს ჭურჭლის ძირი. 3-4 წუთის შემდეგ ამოიღეთ ქაფქირით, მოათავსეთ ცალკე ჭურჭელზე და განაგრძეთ დარჩენილი წიწაკების მოწალკა. რომ მოათავებთ მოწალვას, გადმოდგით ცეცხლიდან წვენი და შეაგრილეთ. შეგრილებული წიწაკები ამოტენეთ ნივრით და მწვანილით და მოათავსეთ ნახევარლიტრიან ქილებში შემდეგნაირად: ყოველ წიწაკის ფენას მოაყარეთ მცირეოდენი დაჭრილი ოხრახუში და ნიორი. როდესაც მოათავებთ წიწაკის ქილებში განაწილებას, დაასხით შეგრილებული წვენი ისე, რომ ყველას თანაბრად ეყოს წვენიც და ზეთიც. დოლბანდგადაფარებული ქილები მეორე დღემდე დატოვეთ თავღია, შემდეგ დაახურეთ ხუფები, გნებავთ შემოახვიეთ კალკის ქაღალდი, ან ჩვეულებრივი თეთრი ქაღალდი, მოუკარით თავი და შეინახეთ გრილ ადგილას.

ზამთრისათვის შეგიძლიათ შეინახოთ ზეთით და ძმრით მომზადებული გრძელი, მოყვითალო ფერის დასამჟავებელი წიწაკაც, ოღონდ იგი ოდნავ განსხვავებული წესით მზადდება.

მასალა:

5 კილო წიწაკა, 1 ბოთლი ზეთი, ნახევარი ლიტრი წყალი, 1 ლიტრი ძმარი, 250 გრ შაქარი, 200 გრ მარილი, 400-500 გრ ნიორი, 500 გრ ნიახური, 500 გრ ოხრახუში.

## მომზადების წესი:

გარეცხილი ნიახური, ოხრახუში და დარჩეული ნიორი დაჭერით წვრილად, აურიეთ ერთმანეთში და დადგით ცალკე წიწაკის გამოსატენად; წიწაკას მოაშორეთ ყუნწები, ცალ მხარეს გაჭერით სიგრძეში, შემდეგ ჩაყარეთ მდუღარე წყალში და განაგრძეთ დუღილი 2-3 წუთი, რომ მოიწალება, გადმოდგით ცეცხლიდან, გადაწურეთ, წიწაკები დატოვეთ საწურავზე და ვიდრე დაიწურება, ზეთი, ძმარი, წყალი, შაქარი და მარილი მოათავსეთ დიდ, ბრტყელძირიან ქვაბში ან სამურაბე ტაშტზე და წამოადუღეთ; ადუღებიდან ხუთი წუთის შემდეგ ჩაყარეთ წიწაკა და ადუღეთ ათი წუთის განმავლობაში, შემდეგ ამოიღეთ ქაფქირით, შეაგრილეთ, ამოტენეთ დაჭრილი მწვანილით და ნიორით, ჩააწყვეთ ქილებში, წიწაკის ყოველ ფენას მოაყარეთ მცირეოდენი იგივე მწვანილის და ნიორის ნაზავი, ბოლოს ყველა ქილას თანაბარი რაოდენობით დაასხით ნახარში წვენი, ქილებს გადააფარეთ დოლბანდი და მეორე დღეს დაახურეთ ხუფები, გნებავთ შემოახვიეთ კალკა ან ჩვეულებრივი თეთრი ქაღალდი, მოუკარით თავი და შეინახეთ გრილ ადგილას.

---

ბარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე — საქართველოს სახალხო მხატვრის კოკი მახარაძის ახალი ტილო „რევოლუციის ქარიშხალი".

---

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. ბაწრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯამახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის 93-98-58 საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა წარმოებას 5. 10. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 11. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000, შეკვ. 2416, უე 04888

ეროვნული ბიბლიოთეკა



26 ბაქოელი კომისრის ძეგლი თბილისში

ვარლამ გენგიურის ფოტო

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალოთ ფრთები
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას — როგორიც ჩვენი საქართველოა —
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

გალაკტიონი

ინდექსი 76178

6212/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 80 კაპ.